პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

12 იანვარი
ხუთშაბათი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ., № 4 რედაქცია ღიაა
ყოველ დღე გამოსვლის
უქმეების [illegible]
ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 1476 მდივნის
№ 16 საერთო №

№ 9 ხუთშაბათი, 12 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 12 იანვარი 1922 წ. № 9

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე"

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

პარასკევს, 13 იანვრის საღამოს 5 საათზე პროფ-საბჭოს მცირე დარბაზში შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკების საერთო კრება

დღის წეს-რიგი:

საინსტრუქციო მოხსენება სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის და საბჭოების მე-9 ყრილობის შესახებ.

მოწვეული არიან: წევრები კომპარტიის ცეკასი თბილისის კომიტეტის, საქართველოს რევკომის, აღმასრულებელ კომიტეტის, სახალხო კომისრები, სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრები, რაიკომის წევრები, რაიკომის ორგანიზატორები, პროფსაბჭოს ფრაქციის ბიურო, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის წევრები და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის რაიკომების მდივნები.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

ახალი ხანის დასაწყისი

თუ თქვენ გსურდათ საყოველთაო [illegible] ხავს დამშვიდობიანობის ჩამოვარდება, თქვენ ფიქრობდით [illegible] მშვიდობიანობის დამყარებისათვის როგორც მცირე აზიაში ისე რუსეთში [illegible] მიმართა ანტანტას ხელმძღვანელთ ანტანტას ყველაზე [illegible] და მშრომელთა პოლიტიკოსმა, ლოიდ ჯორჯმა კანის კონფერენციაზე.

ეს კონფერენცია, რომელიც 7 იანვარს გაიხსნა, პირდაპირი გაგრძელებაა ვაშინგტონის კონფერენციის, სადაც ანტანტას და ამერიკის მთავრობები შეეცადნენ საერთო ენის გამონახვას თითქმის აუცილებელ ხელახ[illegible] იმპერიალისტურ ომის თავიდან ასაცილებლათ.

რუსეთი და გერმანია არ იყვნენ წარმოდგენილი ამ კონფერენციაზე. საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი უკავია და რომლის მნიშვნელობა მსოფლიო მეურნეობაში მეტათ დიდია— ანტანტას სათვალავში არ მოხვდა. გერმანია დამარცხებული, საზღაურო კონტრიბუციის ტვირთის ქვეშ მგმინავი, მაგრამ მაინც ძლიერი, უმწვერვალესი ტექნიკის ქვეყანა—გერმანია.

მაგრამ ანტანტას ხელმძღვანელთათვისაც კი აშკარა გახდა, რომ ასეთი ქვეყნების გათიშვა, მათი ჩამოშორება ერთობაში ფუშავს ყველა გეგმებს [illegible] ზავის ჩამოგდებისას და მსოფლიო მეურნეობის გაჯანსაღებისას.

საბჭოთა რუსეთი მსოფლიო ეკონომიკის ჯაჭვის ისეთი მნიშვნელოვანი რგოლია, რომ მისი გამოკლება მთელი ჯაჭვის სიმაგრეს თითქმის ნულამდის იყვანს.

საბჭოთა მთავრობის არ ცნობა ანტანტას პოლიტიკურ გეგმებს ჰაერში გამოკიდებულად სტოვებს.

ამ ჭეშმარიტების აღიარება შეიცავს ანტანტას პოლიტიკოსების შუბლში უმაღლეს საბჭოს გამოტანილი [illegible] დადგენილება.

ანტანტამ გადასწყვიტა რამდენიმე თვის შემდეგ მოიწვიოს გენუაში კონფერენცია ეკონომიურ საკითხების გადასაწყვეტად. ამ კონფერენციაზე მოწვეული იქნება როგორც გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობა ისე მოსკოვის [illegible] მთავრობაც.

ევროპის და საერთოდ მსოფლიო მეურნეობის აღდგენისათვის აუცილებელია საჭირო საბჭოთა რუსეთის და გერმანიის ჩაბმა და [illegible] წარმოება [illegible], გერმანიის ეკონომიკა [illegible] კონტრიბუციის [illegible] ქვეშ, საბჭოთა რუსეთის მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა [illegible] ლზე დაზიანებულია.

კონტრიბუციის გადახდის პირობების შემსუბუქება — აი რა ეჭირვება გერმანიას. ევროპის ბაზართან [illegible] ურთიერთობა, საწარმოვო იარაღ მანქანების შემოზიდვა და სატრანსპორტო კრედიტი [illegible] — აი რა ესაჭიროება საბჭოთა რუსეთს, რომელიც მტკიცედ ადგია მრეწველობა-მეურნეობის აღდგენის გზას.

ამ საკითხების პრაქტიკული დასმა და გადაწყვეტა გულისხმობს საბჭოთა მთავრობის ცნობას, მის ერთად ერთ კანონიერ მთავრობად აღიარებას, რასაც ბრაზით და აღშფოთებით გაურბოდა ანტანტა.

დღეს კი იგივე ანტანტა და ამერიკა მზათ არიან იცნონ მუშურ-გლეხური რუსეთის მთავრობა და ასეთი პოლიტიკური აქტით შესაძლებელი გახადონ ნორმალური, ფართო კომერციული ურთიერთობა.

ეს მზათყოფნა, რასაკვირველია, იმის მომასწავებელი კი არ არის, თითქო ანტანტამ ანგარიშება უკუაგდო და კაცმოყვარეობის გრძნობები გაიღვიძა გულში. ეს გეგმა, რომელიც თითონ ლოიდ-ჯორჯმა [illegible] მონათლა და რომელიც შეფარდებული იყო რუსეთის 30 მილიონი ადამიანის საშინელ სიმშილის გამოყენებასთან, ძალაში რჩება. ანტანტა მოითხოვს საბჭოთა რუსეთის მთავრობისაგან ძველი ვალების ცნობას, სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობას როგორც ძალით ისე პროპაგანდით, უცხოელთა ქონების და უფლებების ხელშეუხებლობას და ანაზღაურებას იმ ზარალისას, რომელიც საბჭოთა კანონმდებლობამ მიაყენა უცხოელებს რეკვიზიცია-კონფისკაციებით. სამაგიეროთ ანტანტა თავის მხრივ ხელს იღებს საბჭოთა რუსეთზე თავდასხმაზე, მისი წყობილების საწინააღმდეგო პროპაგანდაზე, აგრეთვე მზათ არის მოლაპარაკება დაიწყოს რუსეთისათვის სესხის მიცემაზე.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკამ გაიმარჯვა და ანტანტას ბანაკში ძირითადი გარდატეხა გამოიწვია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ახალი მსოფლიო ისტორიული ხანის დასაწყისია. რაც უნდა ძნელი არ იყოს ანტანტას მიერ წამოყენებული კერძო პირობები, [illegible] და მნიშვნელობა კანის კონფერენციის გადაწყვეტილებისა საბჭოთა რუსეთის ახალი და დიდმნიშვნელოვანი [illegible]. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის [illegible] და [illegible] საბჭოთა რუსეთი [illegible], საერთაშორისო მდგომარეობის [illegible], ბურჟუაზიული მთავრობების წინააღმდეგ [illegible] და სცემს კერძო საკუთრებაზე აგებულ წყობილებას.

ანტანტას შეურიგებლობის მყინვარს წყალი ჩაუსხა ამიერიდან ეს პროცესი არ შეწყდება, სანამ მსოფლიო ბურჟუაზიის ყინულის საპყრობილე არ დადნება მთლად. საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ფრონტზე შეუწყვეტელი მუშაობა და ბრძოლა, იმავე დროს პოლიტიკური სიმტკიცე, მშრომელთა ძალაუფლების გამაგრება, მზათ-ყოფნა ყოველგვარ მოულოდნელ საფრთხის წინააღმდეგ— აი რას გვავალებს დღევანდელი მომენტი.

* * *

ისინი წვრილ ერებს „იცავენ!"

საბჭოთა რუსეთმა აღიარა და კიდევაც გაატარა ცხოვრებაში ერთა თვითგამორკვევის უფლება. ამის შედეგათ მოყვა ის რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ვეებერთელა ტერიტორიაზე დაარსდა ახალი სახელმწიფოების მთელი რიგი. თათრებმა, ვოტიაკებმა, ყირგიზებმა, მთიელებმა და სხვ. მოიწყვეს რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის დახმარებით თავის რესპუბლიკები. და ახლა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების 4 წლის არსებობის შემდეგ არავის არ შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ის არ დევნის, არ ავიწროვებს, არ იმონებს წვრილ ერებს.

სრულ წინააღმდეგს ჩადის ბურჟუაზია. მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელთა გაბატონებული კლასები თავიდან ფეხებამდე ძარცვავენ გაუნათლებელ ჩამორჩენილ ხალხებს თავიანთ კოლონიებში, თითქმის ისეთი წვრილი სახელმწიფოებიც კი, როგორიც არიან რუსეთიდან გამოყოფილი ფინეთი, ესტონეთი და ლატვია, დღე და ღამ სულ იმის ფიქრში არიან რომ რამენაირათ ხელი მოითბონ წვრილი ხალხების ჩაგვრაზე და თავიანთ კაპიტალი გაადიდონ. ამას აშკარათ მოწმობს თეთრგვარდიელების თავდასხმა წითელ კარელიაზე ამ უკანასკნელ ხანებში.

საქმე იმაშია, რომ კარელიელებმა დაარსეს წითელი კარელიის შრომის კომუნა, მაგრამ, ვინაიდან ისინი სუსტნი იყვნენ და ეცვათ მხოლოთ თავიანთ საკუთარი ძალებით ეს თავისი პატარა ოჯახი თეთრგვარდიელთა სხვა და სხვა გვარი თავდასხმისაგან, გადაწყვიტეს შესულიყვნენ კავშირში, როგორც სრულ უფლებიანი წევრი რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკისა, რომელიც ერთად ერთი ერთგული თავდადებული დამცველია წვრილი ერებისა და ხალხების.

ასეთი იყო თავისუფალი სურვილი და სრული ნებისყოფა ამ პატარა ხალხის. ეს იყო მისი თავისუფალი თვითგამორკვევა.

მაგრამ მჩაგვრელი კლასები არ ცნობენ არავითარ თავისუფალ თვითგამორკვევას, წვრილი ერების განთავისუფლებას. და აი ფინლანდიის ბურჟუაზიამაც კიდევაც მოისურვა კარელიის ხალხის ამ თავისუფლების სისხლში ჩახრჩობა და ამ პატარა ქვეყნის ძალით დაპყრობა თავისი გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლათ. ამას შედეგათ მოყვა ფინეთის თეთრგვარდიელთა ორგანიზაციულათ მოწყობილი თავდასხმა კარელიაზე ამ უკანასკნელის ფინეთთან შესაერთებლათ.

როდესაც ამ თეთრგვარდიელებმა ღირსეული და საკადრისი პასუხი მიიღეს რევოლუციონური წითელი არმიისაგან, ფინეთის მთავრობამ მიმართა რუსეთისა და საზოგადოთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების დაუძინებელ მტრების კავშირს, ხალხთა ლიგას, რომელიც აერთიანებს კაპიტალისტურ მსოფლიოს მსხვილ ქვეყნებს—ინგლისს, საფრანგეთს, იაპონიას, იტალიას და სხვ. ფინეთის კონტრ-რევოლუციონური მთავრობა თხოვს მათ, რათა ხალხთა ლიგამ დაეხმაროს მას სისრულეში მოიყვანოს თავისუფალი წითელი კარელიის დაპყრობის გეგმა, მით რომ პირველი ჩაერიოს იმ საქმეებში, რომლებიც ხდება უკანასკნელის ტერიტორიაზე და ერთგვარ ფორმაში ჩამოასხას კარელიის დაპყრობას შესაფერისი კომისიის საშუალებით, რომელიც მისი აზრით გაგზავნილ უნდა იქნეს ხალხთა ლიგის მიერ კარელიაში ვითომდა „მდგომარეობის გამოსარკვევათ".

ხოლო ესტონეთის, პოლონეთის, ლატვიის და რუმინეთის მთავრობებმა კი არ დაიყოვნეს მხარი დაეჭირათ ფინეთის მთავრობის ამ საზიზღარ შუამდგომლობისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ ესტონეთსა და ლატვიას საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულება აქვთ დადებული, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

აი ეთი ძლიერია ბურჟუაზიის ლტოლვა და მისწრაფება წვრილი ხალხების დასაპყრობათ და გასაფუჭებლათ და მტრობა და ღვარძლი წითელ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისადმი, რომელიც თავისი მაგალითით ამჟღავნებს და ფარდას ხდის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მტაცებლურ, ყაჩაღურ ბუნებას და ძირს უთხრის მჩაგვრელ კლასებს ფუფუნებიან ცხოვრებას.

ამ წვრილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს სცოდნიათ „ერთა გამოარკვიონ" კარელია, მისი ძალით დაპყრობით და გაძარცვით ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ მხოლოთ საერთაშორისო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც შედეგი იქნება პროლეტარიატის გამარჯვების, შეუძლია საბოლოოთ გაანთავისუფლოს წვრილი ხალხები და ერები ყოველგვარ ჩაგვრისგან და სრულებით მოსპოს ომები.

* * *

ხმა ხელოვანთა სასახლიდან

5 იანვარს ხელოვანთა სასახლეში მოხსენება გააკეთა მგოსანმა იობოლმა მუშათა პროლეტარულ პოეზიაზე.

ეს ფაქტი ბევრ რამე ახალს გვეუბნება ჩვენ. ამ ახალი წლის დასაწყისში უკვე გვესმის ხანუგეშო ხმა, ხმა იმედის და „გულის მობრუნებისა" იმ ბანაკიდან, რომელიც თავს თუმცა დამარცხებულათ გრძნობს, მაგრამ ეს ჯერ საქვეყნოთ აღიარებული არ არის მათგანვე.

და აი 5 იანვარს ხელოვანთა სასახლეში ამ ბანაკის ერთ ერთმა რაზმმა პირველმა სთქვა ეს აღსარება და მით კავშირი გააბა პროლეტარიატის იმ რაზმებთან, რომლებიც დაუცხრომლათ იღწვიან მთელი მშრომელი კაცობრიობის გასაბედნიერებლათ.

იმ მომენტიდან, როცა ამ მებრძოლი პროლეტარიატის შეიარაღებული რაზმები ჩვენს პაწია ქვეყანაშიაც შემოვიდნენ, საქართველოს ხელოვანთ თავზარი დაეცათ. ჩვენ მგოსნებს „პოეზიის სანთელი გაუქრათ" და ყველამ ერთხმათ იწყო გოდება „ვაიმე"-ზე და გოდება მათი მოგვაგონებდა ძველ ისრაელთა წინასწარმეტყველის იერემიას გოდებას.

ამნაირათ მათი ხმა-გოდება გასცდა საქართველოს მშრომელთა მიერ აღტაცებულ ყრიამულში და ეს პაწია მონიკული ტკბილი [illegible] ჩვენ და სამუდამოთ იღუპებოდა მათი საზარელი დისონანსით.

ხელოვანთა სასახლე სერიოზულ ქუჩაზე შექნა მითი „თავშესაფარი" და იმიტომ ამ სასახლიდან ხან გულსაკლავი სიმღერა „ბაბილონის მდინარეთა ნაპირის" ხმაზე და ხან კიდევ „ქალაქისებური" უიმედო „ლოთურ-ფილოსოფიური" ბოდვა.

ეს ორი ჯგუფი ჩვენებურ ხელოვანთა ხსენებულ სასახლეში მოკალათებული იყო და პროლეტარულ რევოლუციას ალმაცერათ შეჰყურებდა: მათ გაფართოებულ თვალებში მხოლოდ ლამი და კრძალვა სჩანდა და არა ახალი დიადი მოვლენის შეცნობა განცდა.

მაგრამ პროლეტარულმა რევოლუციამ ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაშიაც გაჰფანტა ეს ბურუსი და ჩვენებურ ხელოვანთა დიფერენციაცია მოახდინა.

სოციალურმა რევოლუციამ უკვე მოახდინა ჩვენშიაც რევოლუცია ხელოვნებაშიაც: საქართველოს გამარჯვებულმა პროლეტარიატმა კულტურის ამ დარგშიაც თავისი დიქტატურა უკვე გამოაცხადა, ამიერიდან საქართველოს დედა ქალაქში იარსებებს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაცია, რომელიც დაუცხრომლათ იმუშავებს ძლიერ მეტად დიად მნიშვნელოვან ასპარეზზე და კოლექტიურ შემოქმედების ფართოს ლონივრათ გაშლის.

ეს ორგანიზაცია არის საქართველოს „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია". მეტათ მცირე რიცხოვანი და ჯერ კიდევ ფეხადუდგმელია ეს ორგანიზაცია, მაგრამ მან უკვე გამოაფხიზლა, აღძრა მგოდებელ ხელოვანთა ბანაკი. ეს ბანაკი ამ დღეებში უკვე ორად გაითიშა: ერთი დარჩა ისევ „სასახლეში", ხოლო მეორე გადაბარგდა „ქიმერიონში", სადაც მან შესაფერი სავანე ჰპოვა.

ამნაირათ დაიწყო პროცესი სასახლიდან გამოსახლებისა; ჩვენ დღე-დღეც, უნდა აგვეღო ქრისტესავით „შოლტი" და ამ „წმიდა ტაძრიდან", ხელოვნების სასახლიდან გამოგვერეკნა ყველა „მოვაჭრენი და გამყიდველნი", ვინაიდან პროლეტარიატი ბრძანებს: ხელოვნება ამიერიდან ემსახურება და დაატკბობს მხოლოთ „ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთ" და არა მუქთახორებს.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა ყველგან და ყველაფერში ძალდატანებას როდი მიმართავს, როგორც ეს ბევრს ჰკონია. სრულიადაც არა, კულტურულ სფეროში ის სავსებით იცავს დაჯერების და ნებაყოფლობის პრინციპს. **როგორც გრწამს ისე იმოქმედე**, ეუბნება ის კულტურის წარმომადგენელს, მაგრამ თან დასძენს: გახსოვდეს, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი თავის საკუთარ კულტურას ჰქმნის და ეს კულტურა იქმნება მის „მსგავსათ და ხატათ".

და აი პროლეტარიატის ეს ლოზუნგი უკვე ჩასწვდა ხსენებულ ხელოვანთა სახლის ჯგუფს და მან აღნთო მასში უნუგეშობით მიმქრალი ნაპერწკალი „პოეზიისა": მოისმა ხმა წყნარი, მაგრამ მკვეთრი და იმედიანი. გაჰქრა უნუგეშობა, გაჩნდა მომავლის იმედი და აღინთო კვლავ „პოეზიის სანთელი"!

ხელოვანთა სასახლეში დარჩენილ ხელოვანთა ერთმა მოზრდილმა ჯგუფმა იობოლი მუშის პირით 5 იანვარს განაცხადა: ჩვენ ამიერიდან ეხმარებით პროლეტარიატს სამსახურს, ჩვენ კვლავ აღვიჭურვებით შეუდგებით ჩვენს საყვარელ, სატრფიალო საქმეს, პროლეტარული პოეზიის შემოქმედებას და გვწამს, რომ პროლეტარიატის დიქტატურ საქართველოში მხოლოთ ქართულ ნიადაგზე დამყარებული გაიმარჯვებს.

ჩვენ სრული თანაგრძნობით ვეგებებით ამ განცხადებას და ვუსურვებთ მგოსანთა ამ ჯგუფს, რომელიც წარსულით და თავისი ისტორიულ კლასობრივი თვალსაზრისით ყველაზე ახლო დგას ჩვენთან და ის ერთათ ერთი გვენათესავება ჩვენ რომ მტკიცეთ [illegible] პროლეტარულ შემოქმედების [illegible] ციაზე და პროლეტარულ პოეზიაში თავისი პოეტური წვლილი უხვათ შემოეტანოს.

რ. ქ.

* * *

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო.

ქუთაისი.

ხიდის გაკეთება. ქუთაისის სამაზრო რევკომი ყოველ ზომებს ხმარობს მდინ. ყვირილაზე ხიდის გასაკეთებლათ. ხიდის პროექტი უკვე გამომუშავებულია და გადაეცა საბოლოოდ და კვანძისათვის ექსპერტებს.

შტატების შემცირება. დამთავრდა საშტატო კომისიის მუშაობა. ქალ. ქუთაისში მუშათა და მოსამსახურეთა შტატების შემოკლებამ მიაღწია 80 პროც. ზოგიერთი განყოფილებები საშტატო კომისიამ გააუქმა.

ბაჟი ვაჭრობაზე. ქუთაისში და მის მაზრაში შემოღებულია ბაჟი ვაჭრობაზე.

რაჭის მაზრაში.

სურსათ სანოვაგე. რაჭის მაზრა არასოდეს არ ყოფილა კმაყოფილი მოსავლით, მაგრამ ამ ბოლო წლებში ნამეტანი გვალვებისა და წყალდიდობის გამო ძლიერ დაზარალდა. წელს პურისა და სიმინდის მოსავალი იყო მეტად ცუდი. საყოფი სარჩო არ მოსვლია მცხოვრებთა მესამედსაც, რის გამოც ბევრი ეხლავე დაეძებს სარჩოს და ზოგმა შეიძლება ზამთრამდის გაიტანოს თავი. მართალია ღვინის მოსავალი რაჭის მაზრაში უფრო კარგი იყო, მაგრამ რაჭაში ღვინოს ადგილობრივ თუ ვინმე იყიდის, თორემ გარეთ მას ბაზარი არა აქვს, რის გამო ხალხი მოკლებულია საშუალებას გარეთ გაიტანოს რამე და სამაგიეროთ საჭირო სურსათ სანოვაგე შემოიტანოს. დიდ გაჭირვებას განიცდის ხალხი აგრეთვე უტანსაცმელობით, რომელიც ხელს უშლის როგორც ხალხის სამუშაოზე გამოსვლას, ისე კულტურულ განვითარების საქმეს. ხალხის ასეთი გაჭირვებით ძლიერ სარგებლობენ ჩარჩი სპეკულიანტები, რომლებთაც მოაქვთ სოფლად მანუფაქტურა და სცვლიან მოსავალზე, ისე ფულით არაფერს ყიდიან. ამრიგად ის მცირე მოსავალიც ნელ ნელა ხელიდან ეცლება ხალხს. რაჭის სამაზრო რევკომმა მიიღო მხედველობაში ხალხის ასეთი გაჭირვება და აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ დაწესებულების წინაშე, რათა რაჭაში მოკრეფილი სასურსათო გადასახადი დარჩენილიყო ისევ მაზრაში და მოხმარებოდა აქაურ დამშეულ მცხოვრებთ.

მიწის კომიტეტები. მიწის სივიწროვემ დაბადა რაჭაში მიწის შესახებ მრავალფეროვანი საჩივრები, რომლის გარჩევასაც დიდ დროს ანდომებენ მიწის კომიტეტები. განსაკუთრებით დიდის ენერგიით მოქმედებს საგანგებო სამიწადმოქმედო კომიტეტი დაარსებული სამიწადმოქმედო განყოფილებასთან.

სწავლა განათლების საქმე. სწავლა განათლების საქმე ძლიერ ცუდათ მიმდინარეობს, რადგან ყოფილი მთავრობიდან სკოლები დარჩა სრულიად შეუკეთებელი. ბევრს შენობას არა აქვს სახურავი და წყალი ჩამოსდით. არა აქვს მინები და სიცივეებში შეუძლებელი ხდება მეცადინეობა. არ მოიპოვება აგრეთვე სახელმძღვანელოები.

პარტიული კომიტეტი და განათლების განყოფილება შეძლებისდაგვარად აწარმოებენ გლეხებში პროპაგანდა-აგიტაციას, რასაც გლეხობა დიდის სიამოვნებით იგებება.

წყალდიდობა. რაჭა ძლიერ დააზარალა ნოემბერში მოხდენილმა წყალდიდობამ, რომელმაც დაანგრია საუკეთესო ხიდები. წყალდიდობის მიერ მოყენებულ ზარალის გამოსარკვევად რევკომის მიერ არჩეულია საგანგებო კომისია, რომლის მუშაობის დამთავრების შემდეგ წყალდიდობის მიერ მოყენებულ ზარალის შესახებ დაწვრილებით მოხსენდება მთავრობას. ეკონომიურმა განყოფილებამ მიიღო ზომები ხალხის დახმარებით და ადგილობრივ საშუალებით ხიდების გასაკეთებლად, მაგრამ ზოგი ისეა დანგრეული, რომ მათი შეკეთება ადგილობრივი საშუალებებით შეუძლებელია.

აჭარის რევკომის მოქმედება.

ნიხრი ეტლით მგზავრობაზე. აჭარისტანის რევკომმა დაადგინა დააწესოს ნიხრი ეტლით მგზავრობაზე, მხოლოდ საბჭოთა დაწესებულებათათვის. კერძო პირებისათვის კი არავითარი ნიხრი შემოღებული არ იქნება.

საბინაო ოთხეული. ბათომის საბინაო განყოფილება გაუქმებულ იქნა. მის მაგივრად შედგენილია საბინაო ოთხეული შემდეგი პირებისაგან: პროფესიონალურ კავშირების საბჭოს წარმომადგენლები ბოკუჩავა (თავმჯდომარე) და ბრესლავეტი, ჩეკას წარმომადგენელი ასათიანი და ერთი წარმომადგენელი წითელ მეჯლისიდან. საბინაო ოთხეულს მიეცა უფლება გააუქმოს საბინაო განყოფილების აგენტების კადრი და მათ ნაცვლად შეადგინოს სარაიონო სამეულები ორი ორი პროფკავშირის და ერთი წითელ მეჯლისის წარმომადგენლებისაგან.

წითელ არმიელის დოვლათის კვირა. აჭარის რევკომმა წითელ არმიელთა კვირისათვის გადასდვა 20 მილიონი მანეთი, მიიღო თავის თავზე ყაზარმების შესაკეთებელი ხარჯების გაწევა და წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას მოაწყოს უფასო [illegible] და აბანოები წითელ არმიელთათვის.

რუსეთი

წარმატება სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 9 იანვარი. (როსტა). სამეურნეო ფრონტზე ჩვენი წარმატებანი გრძელდება. ნახშირის ამოღებამ დონის აუზში დეკემბერში მიაღწია 57 მილიონ ფუთამდე, გარდა ამისა რაც ამოიღეს ჯარით გაძევებულ წვრილ მაღაროებიდან. მრეწველობის სხვა სფეროშიაც არის აღრიცხული წარმატება. ცენტრო კავშირის ბრუნვა სწრაფად იზრდება: „ყველა ამ წარმატებებს, სწერს „პრავდა" საფუძვლად უდევს პირველში სწორედ აღებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსი, მეორე, რომ სამრეწველო წარმოებანი სწორად, თუმცა ჯერ კიდევ სუსტად, ღებულობენ სურსათს, ეს უკანასკნელი არის სუსტი პუნქტი ჩვენი მუშაობის და წარმატებათა სასურსათო ფრონტის მოშლა, სურსათით

დღიური

მოკავშირეებს განზრახვა აქვთ მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე გენუაში მოიწვიონ პირადად ლენინი.

ეგვიპტე თავგამოდებით იბრძვის დამოუკიდებლობისათვის ინგლისის ბატონობისაგან.

ჩვენ სამრეწველო რაიონების ხანგაჩამოშვებითი სურსათით მომარაგება აუცილებლად გამოიწვევს ყველა ჩვენ მიერ მიღწეულ წარჩინებათა მოშლას. აქედგან გამომდინარეობს: მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმაროთ სასურსათო გადასახადის აკრეფას, სურსათის დამზადების საქმეს და მის გამოტანას იქიდგან, სადაც იგი არის მაგრამ ეხლა ჩვენ აქ ვეჯიბრებით ახალ დაბრკოლებას: ეს არის ტრანსპორტის დაშლილობა, რომელიც გვიშლის ციმბირიდგან იქ შეგროვილ პურის მოტანისა. ამის გამო ტრანსპორტის გაუმჯობესებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ჩვენი მრეწველობის წარჩინება გვიჩვენებს შემდეგ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიბრძოლოთ ამ ფრონტზე, მისი წარმოების გაძლიერებით.

მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ მოგვცეს საკმაო რაოდენობა სურსათისა და ნედლი მასალისა. ამისათვის მუშაობა ჩვენ ჩამორჩენილ და გაცარცულ მიწად-მოქმედების გაძლიერებლად უნდა ჩაითვალოს ერთ უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ მიზნად.

პოლიტიკურ მომენტის გამო

მოსკოვი, 11 იანვარი. (რადიო). „პრავდა“ სწერს: „ჩვენ ბევრჯელ გვითქვამს უკვე, რომ მოახლოვებულია განთიადი, რომ მალე გვეშველება. ჩვენ მართალს ვამბობდით. ჩვენ ეხლა ფართო გზაზე გავდივართ, მაგრამ განთიადისას მუდამ ცივა ხოლმე. გადაწყვეტილების სიახლოვე მოითხოვს დიდ თანხმობას, მოითხოვს სახალხო მასსების რაც შეიძლება მეტს შეგნებას. ეს ის დროა, როდესაც საბჭოთა რუსეთი რამდენიმე წლით დაამყარებს თავის ურთიერთობას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. ეს ის დროა, როდესაც საბჭოთა რუსეთის გარშემო ვიწრო რგოლივით უნდა მწყობრათ შეკრბნენ მუშათა და გლეხთა მასსები. არაფერი არ უნდა მოხდეს ისეთი, რაც გააძლიერებს მოწინააღმდეგეთა იმედს. რომ რუსეთის მშრომელთა დიდებულ ოჯახში რაიმე განხეთქილება მოხდეს, მიუხედავათ შიმშილისა, მიუხედავათ ყველა შევიწროვებისა, ხალხის მასსები და წითელი არმია უნდა იდგნენ ურყევლათ როგორც კედელი, რომ ჩვენ იძულებული არ ვიყვნეთ იმ დათმობას დავთანხმდეთ რომლისთვისაც მომავალში უნდა პასუხი ვაგოთ.

კომუნისტური პარტია უნდა სადარაჯოზე იდგეს. იგი ყოველთვის სადარაჯოზე იდგა ბრძოლის დროს, ეხლა ახლოვდება წამი როდესაც მთელი ჩვენი მეკადინეობა, მთელი ჩვენი ბრძოლა უნდა გააძლიეროს პირველმა გამარჯვებამ, როდესაც სიმშილისა და სიცივისთვის ჩვენს უნდა მივიღოთ მტკიცე ზავი და შესაძლებლობა—აღვადგინოთ ჩვენი მეურნეობა. ამ წამში პარტიის დამკრავ ამოცანას შეადგენს — გახდეს ხალხის მასსების შემაერთებელ რგოლათ, მათ იმედის სხივათ, მათ მორალურ ძალათ. პარტია შეასრულებს ამ მოვალეობას, პარტია აღამაღლებს მუშათა და გლეხთა მასების აქტივობას და შეაგნებინებს მათ მომენტის მნიშვნელობას. იგი მოახერხებს ამ მასსებში დისციპლინისა და თანხმობის გაძლიერებას. მოკავშირეებს საქმე ექნებათ გაერთიანებულ რუსეთთან, იმ რუსეთთან, რომელიც წარუდგენს მათ თავის იარების ანგარიშს, თავის მოთხოვნებს, თავის სურვილს იცხოვროს სხვა ქვეყნებს შორის, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ“.

საბჭოთა რუსეთი და დასავლეთი

ლოიდ ჯორჯი რუსეთის შესახებ.

მოსკოვი, 10 იანვ. (რადიო) კანნაში წარმოთქმულ სიტყვის ნაწილში, რომელიც სპეციალურათ შეეხება რუსეთს, ლოიდ-ჯორჯმა სთქვა: „შეუძლებელია რაიმე დიდი საქმე დაიწყონო ისე, რომ ცრუმორწმუნეობას არ დაეტაკონო. რა წამს ლაპარაკს დაიწყებთ რუსეთის აღდგენის შესახებ, თქვენ იმ წამსვე დაეტაკებით იმ ბუნებრივ წინააღმდეგობას, რომელიც სუფევს ყოველი განათლებული კაცის გულში ბოლშევიკების მიმართ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ გარანტია ბოლშევიკურ საფრთხის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ჩვენ დავმარცხდებით ევროპის აღდგენის საქმეში, მაშინ საფრთხე ბოლშევიზმის მხრივ შესამჩნევათ გაძლიერდება.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ისეთ მთავრობებთან გვაქვს საქმე, რომლების მეთოდები ჩვენ არ მოგვწონს. ასე, მე ვიცი მთავრობები, რომლებიც უყოყმანოთ შეუთანხმდნენ იმათ, ვინც ხელმძღვანელობას უწევდნენ სომხების ხოცვა-ჟლეტას. თუ სანამ ხელს ჩამოვართმევდეთ მთავრობებს ჩრდილოეთსა, სამხრეთსა, აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ჩვენ ყურადღებით დაუკვირდებით, თუ რამდენათ წმინდაა მათი ხელი, მაშინ ვფიქრობ, ცოტა საქმე-ღა გაკეთდებოდა ქვეყანაზე ჩვენ წინ მხოლოთ ერთი გზაა. თუ თქვენ საყოველთაო ზავი გინდათ, თქვენ უნდა მიაღწიოთ ზავს არა თუ მარტო მცირე აზიაში, არამედ რუსეთშიაც.

თანახმა არიან.

მოსკოვი, 10 იანვ. რადიო). მოისმინა რა ლოიდ-ჯორჯის სიტყვა, იტალიის პირველმა მინისტრმა ბონომიმ სთქვა, რომ მას მოსწონს იგი საერთოთ და მთლიანათ. ბელგიის დელეგატი ტენისი პრინციპიალურათ დაეთანხმა ლოიდ-ჯორჯის სიტყვას. ბრიანმა და იაპონიის წარმომადგენელმა მოკლეთ განაცხადეს, რომ ისინი პრინციპიალურათ იწონებენ ლოიდ-ჯორჯის მიერ ყველა ნათქვამს. მერე ბონომიმ წინადადება შეიტანა რომში კონფერენციის მოწვევის შესახებ. ეს წინადადება ერთხმათ მიიღეს.

რუსეთის მოწვევა კონფერენციაზე.

მოსკოვი, 10 იანვ. (რადიო). ლიფილდიდან (ინგლისი) დეპეშით იტყობინებიან; რომ უმაღლესმა საბჭომ კანნაში 7 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება—მოიწვიოს კონფერენცია 5 სახელმწიფოსგან რუსეთის და გერმანიის მონაწილეობით, რუსეთის ეკონომიურ აღორძინების საკითხების განსახილველათ.

ანტანტის კონფერენცია რუსეთის ალიარების შესახებ.

მოსკოვი, 10 იანვ. (რადიო) კანნის კონფერენცია გაიხსნა 7 იანვარს, დილის 11 საათზე. ბრიანის მისასალმებელ სიტყვის შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა დაწვრილებით დაახასიათა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიური მდგომარეობა და აღნიშნა ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა. ლოიდ ჯორჯმა მიმართა ყველას კეთილ ნებისყოფას და ბეჯითათ აცხადებდა, აუცილებელია საერთო მწყობრი თანამშრომლობა და საჭიროა მოვისმინოთ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს წარმომადგენელთა აზრით. ლოიდ ჯორჯმა მეტათ მხნეთ გაუსვა ხაზი ყველა ერების ინტერესების მჭიდრო კავშირს. ინგლისის პირველ მინისტრს ასე ერთს წამს არა აქვს ეჭვი, რომ რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას გავლენა აქვს მთელი მსოფლიოს მდგომარეობაზე. ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა აგრეთვე ის სარგებლობა, რომელსაც მიიღებს საფრანგეთი გერმანიისა და რუსეთს შორის სავაჭრო აღდგენისაგან, რადგან ეს ვაჭრობა უთუოთ გამოიწვევს საფრანგეთის ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას. ამასთანავე ლოიდ-ჯორჯი აღნიშნავს, რომ აუცილებელია სერიოზული გარანტიები საბჭოთა მთავრობისგან, ხოლო პირველ პირობას შეადგენს საბჭოთა მთავრობის მიერ იმ ვალების ცნობა, რომლებიც აიღეს წინანდელმა მთავრობებმა.

ბრიანმაც თავის მხრივ ბეჯითათ მოითხოვა, რომ რუსეთისგან აუცილებლათ საჭიროა გარანტიები მივიღოთ.

კონფერენციამ პრინციპიალურათ მიიღო სამრეწველო და საფინანსო ექსპერტების წინადადება იმის შესახებ, რომ ახლო ხანში მოწვეულ იქმნას საერთაშორისო კონფერენცია ევროპის ფინანსიურ მდგომარეობის მისაწესრიგებლათ.

საფინანსო-საეკონომიო თათბირი.

მოსკოვი, 10 იანვარი (რადიო). კანნის კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება მოიწვიონ მარტში საფინანსო-საეკონომიო თათბირი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ყველა სახელმწიფოები, მათ შორის გერმანია და რუსეთი. თათბირის მიზანს შეადგენს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის განახლება. ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, თუ რამდენათ აუცილებელია ხალხთა თანამშრომლობისთვის გარანტიები, ვალების ცნობა და კომერციულ ხელშეკრულებების შესრულება.

ამხ. კრასინი კრედიტების შესახებ.

მოსკოვი, 10 იანვარი (რადიო), რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამხ. კრასინმა „ტაიმსის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საკითხი რუსეთის კრედიტების შესახებ უნდა გადასწყდეს საერთაშორისო საფუძველზე, რადგან რუსეთის საჭიროება იმდენათ დიდია, რომ მისი დაკმაყოფილება არ შეუძლიან რომელიმე კერძო ჯგუფს. რუსეთს ნამეტნავათ უჭირს სამიწადმოქმედო კრედიტი. თუ გლეხობას გადაუცვლიან სურსათის ნედლ მასალაზე, იგი 5 წლის განმავლობაში რუსეთის მიწათმოქმედებას აღამაღლებს წინანდელ დონეზე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

კანის კონფერენცია

ლოიდ ჯორჯის გეგმა.

ნაუენი. 8 იანვ. რადიო. საფრანგეთის პრესსა აღნიშნავს ლოიდ ჯორჯის წარჩინებას კანის კონფერენციაზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ის გაუვალი უფსკრული, რომელიც ვითომდა არსებობდა ლოიდ ჯორჯსა და ბრიანს შორის, ნამდვილად იყო ძლიერ გადაჭარბებული. სწრაფი შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქმნა კანის კონფერენციაზე იყო შედეგი ლონდონში შეხვედრისა, როდესაც მიღწეულ იქმნა ლოიდ ჯორჯის და ბრიანის შეხედულებათა ერთიანობა. გერმანიის გაზეთებიც აგრეთვე აღნიშნავენ რა ლოიდ ჯორჯის გეგმის წარჩინებას რუსეთის აღდგენისა და გერმანიის ფინანსიურ გაჭირვებათა აცილებაში, მაინც აღნიშნავს, ამ წარჩინების ჯერ ძლიერ პირობითი მნიშვნელობას. ლოიდ ჯორჯმა სთქვა სხვათა შორის, მფრინავი ფრაზა იმის შესახებ, რომ „უნდა თავი იქმნას შეკავებული გერმანიის ქასის უფლებაში გადაცემაში. ეს სიტყვები ჯერ რჩება სიტყვებად და იგინი ცხოვრებაში უნდა განახორციელოს მომავალმა ევროპის ფინანსიურ ეკონომიურმა კონფერენციამ, რომელსაც უნდა დაევალოს დაუყოვნებლივ გამოიმუშაოს რეალური ზომები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

„ჰავასის სააგენტო“ აღნიშნავს, რომ ლოიდ ჯორჯი კანის კონფერენციაზედ ფაქტიურად არ გამოსულა გერმანიის დასაცველად. წინააღმდევ ყველა ხმებისა და გაზეთების ცნობებისა, როტენაუ დაბრუნდა ბერლინში კანცლერისთვის მოხსენების გასაკეთებლად, ამასთანავე, საქმის მდგომარეობას იგი არ უცქერის ოპტიმისტურად. ზოგიერთი გერმანული გაზეთები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ხმები იმის შესახებ, ვითომც რატენაუ სარგებლობდეს განსაკუთრებული გავლენით ინგლისის ფინანსისტებთა შორის—სიცრუეა. ყოველ შემთხვევაში როტენაუმ ვერ შესძლო ვერავითარი გავლენის მოხდენა კანის კონფერენციაზე. ამისდა მიუხედავად ბერლინის გაზეთების უმეტესი ნაწილი სასოებით უცქერიან კანის კონფერენციის შედეგებს, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს, „ბერლინერ-ლოკალ-ანცაიგერი“, რომელიც აფრთხილებს ბერლინის საზოგადოებას კანის კონფერენციაზე დიდი იმედების დამყარებაში, ვინაიდან ფაქტიურად არც კონტრიბუციის საკითხი, არც სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხები რა დაძრულან მკვდარ წერტილიდან. გაზეთ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ კანის კონფერენციის ძირითად საკითხს წარმოადგენდა რუსეთის საკითხი. ვითომ გერმანია იდგა მეორე ხარისხოვან ადგილზე.

ნაუენი, 8 იან. რადიო. „ბერლინერ ტაგებლატი“ ფიქრობს, რომ ლოიდ ჯორჯის წინადადება მიიყვანს ყველა სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვამდე. გაზეთი შემდეგ აღნიშნავს: ლოიდ ჯორჯის წინადადებას სრული ეკონომიურ სოლიდარობის იდეას პოლიტიკურ ძალაზე მაღლა აყენებს და ეს იქნება აუცილებელ მიზეზად ინგლისისა და საფრანგეთს შორის კონფლიქტისა.

ბორდო, 8 იან. რადიო. საფრანგეთის პრესის ნაწილი დაჟინებით მოითხოვს, ევროპის პრობლემების გადაწყვეტის დროს არ დაივიწყონ საფრანგეთის ნამდვილი საჭიროებანი. „პტი-პარიზიენი“ ხედავს კანის კონფერენციის დადგენილებებში ევროპის ახალ პოლიტიკის დასაწყისს. იტალიის პრესსა ძლიერ ოპტიმისტურად უყურებს კანის კონფერენციას. გაზეთები განსაკუთრებით ესალმებიან ეკონომიურ კონფერენციის მოწვევის იდეას, რომელშიაც მონაწილეობის მიიღებენ დამარცხებული ერებიც. ბელგიის სააგენტო ამბობს, რომ ბელგია გულწრფელად უერთდება იმ გადაწყვეტილებას, რომელითაც ბოლო უნდა მოეღოს ხალხთა ფარულ ბრძოლას და იგი დაეხმარება კონფერენციის დადგენილებათა რეალიზაციას. გაზეთ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის“ კანის კონფერენციის სპეციალური კორესპონდენტი აფრთხილებს გერმანიის საზოგადოებრივ აზრს ზედმეტ ოპტიმიზმის შესახებ.

თათბირი ევროპის აღორძინების შესახებ.

პარიზი, 9 იანვ. რადიო. ანტანტის სახელმწიფოთა გარეშე საქმეთა მინისტრები მახლობელ შაბათს პარიზში ითათბირებენ ეკონომიურ კონფერენციის პროგრამის გამოსამუშავებლად, რომელიც დანიშნული იყო გენუაში მარტში. ამავე დროს შეეხებიან კონსორციუმის შექმნის საკითხს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიურად აღორძინების პრაქტიკულ მუშაობათა საწარმოებლად.

ომი ომს.

ლონდონი. „დეილი ჰერალდი“ სწერს: კონფერენციამ ამსტერდამში, რომელიც წარმოადგენს რამდენსამე უმძლავრეს საერთაშორისო ორგანიზაციას, ნაბიჯები გადადგა საყოველთაო გაფიცვის პრაქტიკულათ განხორციელებისთვის იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო ომი მოხდება. კონფერენციის წევრებათ არიან მუშათა 3 დიდი საერთაშორისო ფედერაციის სეკრეტარიატის წარმომადგენელნი: ტრანსპორტისა, ქვანახშირისა და მელითონეთა. საკითხის დაწვრილებით განხილვის შემდეგ კონფერენცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მეორე ომი, რომელიც იქნება პირდაპირი შედეგი ყოფილ მსოფლიო ომისა. მუშათა დელეგატებმა გამოსთქვეს რწმენა, რომ მათ არ უნდა იქონიონ იმედი სხვა და სხვა კონფერენციებისა განიარაღების შესახებ, წარსულის სისხლით აღსავსე გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სჯობია დავემყაროთ მუშათა კლასსის მეცადინეობაზე, ვიდრე ფინანსისტების, კაპიტალისტების და დიპლომატების საერთაშორისო პოლიტიკაზე.

კონფერენციამ სცნა, რომ ანტანტას კაპიტალისტებმა თავიანთ ერების ძალა მოახმარეს მხოლოთ იმას, რომ გერმანია გაესრისათ, როგორც სამხედრო სახელმწიფო. მერე იმავ ანტანტამ ისარგებლა ვერსალის ხელშეკრულებით და გადაწყვიტა გერმანიის მუშები გამოეყენებინა მოკავშირე სახელმწიფოთა მუშების ეკონომიურ კეთილდღეობის დასანგრევათ. კონფერენციამ გადასწყვიტა მოუწოდოს ყველა ქვეყნის მუშებს მთელი თავიანთი მხნეობა შესწირონ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ და შექმნან ძალა, რომელსაც, თუ საჭირო იქნება, შეეძლოს ტრედიუნიონების საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობით შეუძლებელყოს სამხედრო მოქმედების დაწყება საყოველთაო საერთაშორისო გაფიცვის გამოცხადებით. ერთ-ერთ თავის რეზოლიუციაში კონფერენცია ყველა ანტი-მილიტარისტულ ორგანიზაციებს მოუწოდებს თანამშრომლობისთვის. საჭირო პრაქტიკულ ზომების მისაღებათ აირჩიეს დროებითი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: რობერტ ვილიამსი და ფრანკ როჯესი.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საგარეო ვაჭრობა.

შაქრის და სახარინის მიღება.

4 იანვარს სტამბოლიდან ბათომში მოვიდა გემი „ფორმი გასი“, რომელმაც მოიტანა 27,500 ფუთი შაქარი, 125 ფუთი სახარინი და 85,180 ფ. სხვა და სხვა საქონელი. ელიან გემს საგალანტერეო საქონლით. შაქრის დასატვირთავად 6 იანვარს გაამზადეს 10 ვაგონი.

სურსათი.

სასურსათო კომისარიატის კოლეგიაში.

2 იანვრის სხდომაზე სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გამოითხოვოს სახელმწიფო ბანკიდან 10 მილიარდი მანეთი სესხი, რაც უზრუნველყოფილი იქნება საქონლით. ამ ფულით განზრახულია დაფნის ფოთლის, თხილის, ღვინის და სხვა პროდუქტების დამზადება, რომლებიც დანიშნულია ექსპორტისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას ნება მიეცა დაამზადოს კახეთში თხილი. ხსენებულ საზოგადოებას განზრახული აქვს დაამზადოს 100,000 ფუთი თხილი.

დადგენილია მისცენ სამეურნეო რევკომს აბრეშუმ სამოსალებ ფაბრიკის ასაგებათ დახარჯული 2 500,000 მან. ფაბრიკა გადავიდა სასურსათო კომისარიატის საკუთრებაში. გადაწყვეტილია აგრეთვე სასურსათო კომისარიატმა შეისყიდოს პარკის გასახმობი შენობები ლანჩხუთში, სამტრედიაში, ხონში და ოზურგეთში მათი სათანადო მოწყობილობით.

ქალაქის სასურსათო კომიტეტის ლიკვიდაცია.

1 იანვრიდან ქალაქის სასურსათო კომისარიატი ითვლება გაუქმებულად. სამსახურიდან განთავისუფლებული თანამშრომლებისაგან გამოყოფილია პატარა ჯგუფი ლიკვიდაციის საწრაფოდ ჩასატარებლად.

პირველ იანვრიდან აგრეთვე გაუქმებულია საბარათო ბიურო. მისი ფუნქციები პურისა და სხვა პროდუქტების განაწილებისა თბილისში გადადიან მთლიან მუშათა კოოპერატივზე, ხელშეკრულების თანახმად რომელიც დადებულია კოოპერატივსა და სასურსათო კომისარიატის შორის. სასურსათო კომისარიატი აძლევს მთლიან კოოპერატივს დაწვრილებით ცნობებს, რომლის თანახმად სწარმოებს პროდუქტების განაწილება.

პურის ნორმა.

საფონდო კომისიის მიერ პირველ იანვრიდან დაწესებულია პურის შემდეგი ნორმა: კომისარიატებისათვის 2 გირვანქა და წარმოებებისათვის 2 ნახ. გირ.

ბორჩალოს რევკომი და სასურსათო გადასახადი.

ბორჩალოს რევკომი თავის ბრძანებაში კატეგორიულ წინადადებას აძლევს ყველა საბჭოთა ორგანოებს გაუწიონ ყოველ მხრივი დახმარება სასურსათო კომისარიატის აგენტებს სურსათის მოგროვებაში და შეასრულონ მათი მოთხოვნილებები პირველ რიგში, განსაკუთრებით გადასაზიდ საშვალების მიწოდებით. ადმინისტრაციის პირებს წინადადება ეძლევა გააცნოს მცხოვრებლებს სასურსათო გადასახადის მნიშვნელობა და ეცადოს მათი სრულად ჩაბარებისათვის.

სურსათის მოწოდება უწინ და ეხლა.

შტატების შემოკლებისა და სურსათის მიწოდების ახალი ფორმების შემოღების შემდეგ მჭამლების და მათთვის საჭირო ფქვილის რიცხვები გამოიხატება შემდეგ ნაირად: პირველ იანვრამდი სახელმწიფო მთელ რესპუბლიკაში (გარდა არმიისა და რკინის გზებისა) აწვდიდა სანოვაგეს 228,825 კაცს და თვიური ფქვილის ხარჯი უდრიდა 71,799 ფუთს. პირველ იანვრიდან მთელ რესპუბლიკაში (გარდა არმიისა და რკინის გზებისა სახელმწიფო ინახავს მხოლოდ 53,086 კაცს და ფქვილის თვიური ხარჯი ისაზღვრება 56,356 ფუთით. ამ ნაირად მჭამლების რიცხვი შემცირდა 175,739 კაცით (აქ შედის აგრეთვე ოჯახის წევრები, რომლებიც მოხსნილია სახელმწიფო ხარჯიდან) ანუ 76,8 პროც; ფქვილის გასავალი შემცირდა 15,443 ფუთით, ე. ი. 21,5 პროც. თვეში.

მჭამლების რიცხვის შემოკლების და ფქვილის ეკონომიის პროცენტების შეუთანხმებლობა გვაჩვენებს, რომ მომარაგების ახალი გეგმა იძლევა მუშაკის მატერიალურ მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ამასთან რასაკვირველია არსებითად უმჯობესდება ოჯახის მდგომარეობა, თუმცა ის ფორმალურად არ ითვლება სახელმწიფოს ხარჯზე. ოჯახის სახელმწიფო მომარაგებიდან მოხსნა საუკეთესო საშვალებაა „მკვდარი სულების“ მოსასპობად და ახალ გეგმის ეკონომია საშვალებას იძლევა განუწყვეტლივ აწარმოოს სანოვაგის მიწოდება.

ტრანსპორტი.

ვიწრო ლიანდაგიანი გზის გაყვანა.

სახალხო მეურნეობის ცენტრალური წარმოებითი განყოფილების კოლეგიამ თავის სხდომაზე ინჟინერ გ. თუმანოვის მოხსენების შესახებ განიხილა კოლეგიის წევრის ანდრონიკოვის დასკვნა საქ. ნიგოითიდან სოფელ ბერეჟოულამდი და ნაბეღლავამდი წვრილ ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანის საკითხის შესახებ და დაადგინა: სასურველად იქნეს ცნობილი გზის გაყვანა და გადაიდოს ამისათვის 3.207 მან. ოქროთი.

ქრონიკა

◆ **ვოლგას მხრის ბავშვებისათვის.** ვოლგას მხრის ბავშვთა თავშესაფარის შესანახად განაწილების კომისსარიატს გაეხსნა 1.002,270,146 მანეთის კრედიტი.

◆ **შობის ხე მუშებისა და მოსამსახურეთა ბავშვებისათვის.** საბოლოვოდ გამომუშავებულია რაიონის შობის ხის ნუსხა და ადგილები. მუშათა ცენტრალური კლუბი—13-დან 18-დე ჩათვლით; საღამოს 4 საათიდან; მუშათა სასახლე (პროფკავშირთა საბჭო, 13-დან 18-დე ჩათვლით) საღამოს 4 საათიდან; ხოლო 15-ს დილით 11 საათიდან, ავლაბარი, კახეთის მოედანი, რაიკომის შენობა 13-დან 16-დე (ჩათვლით დილის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. ორთაჭალაში 13, 14, 15 და 16-ს კუშნერის ფაბრიკაში, ახალ მუშათა კლუბში, საღამოს 4 საათიდგან. ნავთლუღში სადგურის შენობაში პარასკევს 13, საღამოს 4 საათზე. არსენალში 13 და 14 საღამოს 4 საათიდან. ნაძალადევში, თეატრში 14-ს საღამოთი 4 საათიდან და 15-ს დილით 11 საათიდან. ვერის რაიონი. (ბოზარჯიანცის ფაბრიკა). 13, 14 და 15-ს საღამოს 4 საათიდან. ავჭალაში 12-ს საღამოს 4 საათიდან. ბილეთებს იძლევა პროფკავშირის კულტგანყოფილება, სადაც ყველა საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები ღებულობენ სწორ ცნობებს, თუ როდის უნდა მიიყვანონ თავიანთ წარმოების ბავშვები.

◆ **გ. აბაშიძის იუბილე.** საიუბილეო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა: საზეიმო ბჭობა და დელეგაციათა მილოცვები მოეწყოს დილით, ხოლო საღამოთი იუბილიარის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება გ. ერისთავის პიესა „გაყრა“ და მიულოცავენ მსახიობები.

— იუბილეს დღეს, საღამოს წარმოდგენის შემდეგ „ქიმერიონში“ გაიმართება საზეიმო ბანკეტი იუბილიარის საპატივცემლოთ. მსურველთ ადრევე შეუძლიანთ ჩაეწერონ რუსთაველის თეატრის კონტორაში.

— მხატვარი მ. ჭიაურელი ამზადებს მცხოვან მსახიობის ქანდაკებას, რომელიც იანვრის 15-ს დადგმულ იქნება რუსთაველის თეატრში, თვალსაჩინო ადგილას.

— ყველა დელეგატები, იუბილესათვის გამოგზავნილნი, უნდა გამოცხადდენ რუსთავ. თეატრის კონტორაში იანვრის 15-ს, წინდაწინ ჩასაწერად მომლოცველთა სიაში.

◆ **ბათუმიდან დაბრუნდნენ** საფონდო საქმეებთან და ახალ ტარიფებთან შეკავშირებულ კითხვების მოსაგვარებლათ ამ ერთი კვირის წინათ იქ გამგზავრებულნი ამხ. ა. ერქომაიშვილი და ჯულელი.

საქართველოს რევკომში

◆ **იჯარით გაცემის ხელშეკრულების და ინსტრუქციის პროექტის დამტკიცება.** საქართველოს რევკომის სხდომაზე 30 დეკემბერს 1921 წ. დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო წარმოებათა იჯარით გაცემის ხელშეკრულებისა და ინსტრუქციის პროექტი.

◆ **თავშესაფრები დამშეულ ბავშვთათვის** ვოლგის მხარის დამშეულ ადგილებიდან ჩამოყვანილ ბავშვებს თავშესაფარში შესანახად დამტკიცებულ იქნა ხარჯთაღრიცხვა 1 მილიარდი 2.270.146 მან. რაოდენობით და წინადადება მიეცა ფინანსთა კომისარიატს გაუხსნას განათლების სახალხო კომისარიატს ამ საჭიროებისათვის აღნიშნული რაოდენობის კრედიტი.

◆ **დახმარება ნიგოითის რაიონს.** საქართველოს რევკომის მცირე პრეზიდიუმმა მოისმინა რა მოხსენება ნიგოითის რაიონში მოუსავლობის შესახებ დაადგინა: წინადადება მისცეს განათლების სახალხო კომისარიატს დაჩქარებით გახსნას ნიგოითის რაიონში ბავშვების თავშესაფარი, მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები მცხოვრებთა 6 თვით სურსათით უზრუნველყოფის შესახებ. რისთვისაც დაევალოს სახ. სასურსათო კომისარიატს მიაწოდოს დამშეულ მხარეს საჭირო სიმინდი არა ნაკლები ოცი ათასი ფუთისა; ნიგოითის რაიონი განთავისუფლებულ იქნას სასურსათო გადასახადისაგან და წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიიღოს სასწრაფო ზომები ამ რაიონისათვის დასათეს მასალის დასამზადებლად.

◆ **რაჭის მაზრისათვის.** ვინაიდან რაჭის მაზრა ნოემბრის წყალდიდობისაგან მეტად დაზარალდა და ბევრი მცხოვრები იძულებული არიან გადასახლდნენ ამ ადგილებიდან რევკომმა წინადადება მისცა მიწათმოქმედების კომისარიატს შეუთანხმდეს აფხაზეთის რევკომს რათა შეძლებისდაგვარად დათმობილ იქნას სოხუმის ოლქში მიწა 100 კომლი რაჭის მცხოვრებთა დასასახლებლად.

თეატრი და ხელოვნება

„სინათლე“.

სამშაბათს რუსთაველის თეატრში, ამ სეზონში მეორედ დაიდგა გედევანიშვილის პიესა „სინათლე“. მთავარ როლებში გამოვიდნენ ისევ: ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ვ. გუნია. სცენამ ვერ შესძლო მთლიანი შთაბეჭდილების შექმნა, აუდიტორიის დაუფლება, ერთი განცდით და აზრით გამსჭვალვა. და ეს აიხსნება არა იმდენად სუსტი ასრულებით (თამაში საერთოდ მაინც და მაინც არა უშავდა-რა): თვით პიესაში იმდენი ყალბი დრამატიულ პსიქოლოგიური მომენტებია, რომ ვერავინ შესძლებს მათ დაძლევას. ამ პიესის განახლება სცენაზე ესტეტიური თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია.

ხალხი ბლომად დაესწრო. ეტყობა „საზოგადოებას“ იზიდავს პიესის გარეგნული ეფექტები: კარგი დადგმა, ბალეტი, ქეიფი, სიმღერა.

ცხოვრების ყოველ მხარეს ეტყობა განახლება, ახლის ძიება. მხოლოდ თეატრი გვიმასპინძლდება ძველი, მომაბეზრებელი შაბლონებით. სამწუხაროა, რომ თეატრის დირექციის სხვ უკეთესი ვერაფერი გამოუნახავს, თუ არ „ავგაროზი“, „სინათლე“, „თამარ ცბიერი“ და სხვა ასეთი დრამატიულ-თეატრალური საცოდაობანი

ბ.

დღეს თეატრებში:

სახელმწიფო ოპერა: 1) პაიაცები, 2) შოთა რუსთაველი. **რუსთაველის თეატრი** — ქართული წარმოდგენა. **მცირე თეატრი**—დილას—საბავშვო წარმოდგენა—„წითელი ქუდი“. საღამოს—სომხური წარმოდგენა. **რევოლიუციონურ-მხატვრული თეატრი**—„ეშმაკი“ **სახალხო სახლი**—ქართული წარმოდგენა. **საკამერო თეატრი**—ეშმაკის შეგირდი. **მუშათა ცენტრალური კლუბი**—იანკელ დერ შმიდტი. **მუშათა ც. კლუბის ახალი თეატრი**—ტარზანი. **კონსერვატორია**—კონცერტი. **კარლ მარქსის სახელობის თეატრი**—სომხური წარმოდგენა. **საქართველოს წითელ არმიის ცენტრ კლუბი**—ქართული წარმოდგენა. **ცირკი**—მრავალნაირი პროგრამმა.

კინო-თეატრები:

მინიონი—მტარვალის უღელ ქვეშ. **აპოლო** — ქიუდქაი მე-3 სერია. **ალკრე**—კომედია. **არფასტო**—განთიადის თავშესაფარი. **სარკის კინო**—ერთი დამცირების ისტორია.

პოეტი რ. ივნევის საღამო.

20 იანვარს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება საღამო-ლექცია პოეტი რ. ივნევის თემაზე: მე-3 რომი და მე 3 ინტერნაციონალი.

* * *

სათბობი მასალის სამკვირეული

სათბობი მასალის სამკვირეულის პროგრამით, რომელიც დაიწყო წარსულ წლის 18 დეკემბერს, უნდა დატვირთულიყო 525 ვაგონი შეშა, ამ რიცხვში 450 თბილისისათვის, 75 ვაგონი ქუთაისისათვის და რამოდენიმე ბათომისათვის. პირველ ხანებში რკინის გზის და სატყეო განყოფილების მოქმედება ვერ იყო შეთანხმებული, მაგრამ სამკვირეულის პროგრამის გაცნობის შემდეგ—საქმე სრულიად დამაკმაყოფილებლად დამთავრდა. თბილისის სადგურზე შემოვიდა პირველი პარტია შეშისა წარსული წლის 17 დეკემბერს. დღემდე მიღებულია 329 ვაგონი შეშა ე. ი. შესრულებულია 73 პროც. მოთხოვნილებისა. ამჟამად გზაში იმყოფება 50 ვაგონი. მიღებულ და რეკვიზიციის ძალით ჩამორთმეულ შეშით, თანახმად წარსული წლის 17 დეკემბრის რეკომის ბრძანებისა, — კმაყოფილდებიან თბილისის მუშები და მოსამსახურენი. სულ დღემდე განაწილებულია 655 კუბიკური საჟ. შეშა ამ რაოდენობიდან მუშებს დაურიგდათ 447 კუბ. საჟენი, საავადმყოფოებს და აფთიაქებს 105 საჟენი და სკოლებს—67 კუბ. საჟენი. დანარჩენი დაურიგდათ დაწესებულებებს და კომიტეების საჭიროებას.

მუშებს ურიგდებოდათ ერთი მერვედი 1/8 კუბ საჟენი შეშა ბინაზე მიტანით, ეს გარემოება კი ძალიან უშლიდა ხელს, რომ შეშის დარიგება დროზე ყოფილიყო შესრულებული, გარდა ამისა, უნდა დაემატოს ამას ის, რომ გადასატანი საშუალებები ძალიან მცირეა და ამის მიზეზით დღეს დღეობით ჯერ კიდევ დაურიგებელია 165 კუბ. საჟენი. ამ ჟამად დაკმაყოფილებულია მუშათა კავშირების დიდი უმრავლესობა და იმედია, რომ დანარჩენი კავშირებიც დაკმაყოფილებულ იქნება, თუ მათ შეშის მაგიერ არ დაურიგეს ფული. რაც შეეხება საბჭოთა დაწესებულებებს და წარმოებათა შეშით მომარაგებას ამ მხრივ საქმე უფრო სანუგეშოა და იმედია, რომ ზამთრის კრიზისი სულ ადვილად იქნება გადატანილი.

* * *

წარმოებითი პროფკავშირებში

აღმშენებლები

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების სხდომაზე 8 იანვარს სამხედრო საინჟინრო მართველობის თანამშრომელნი ჩარიცხეს აღმშენებელთა კავშირში. აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამართველობას წინადადება მიეცა ინსტრუქტორი გაგზავნის ადგილკომის დასაარსებლად. ადგილკომი არ უნდა ჩაერიოს მმართველობის სამეურნეო საადმინისტრაციო ცხოვრებაში.

ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატში

ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა დაამტკიცა ხელშეკრულობის პროექტი მუშათა ცენტრალურ კლუბსა და რევ.-მხატვრულის თეატრის დასს შორის.

სახალხო კავშირის გაზეთი

მოისმინა რა სახ. კავშირის კულტგანყოფილების მოხსენება იმის შესახებ, რომ სახ. კავშირს მიეცეს საკუთარ გაზეთის გამოცემის უფლება, ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა წინადადება მისცა კულტგანყოფილებას წარმოადგინოს გამოცემის ხარჯთ-აღრიცხვა.

სამეურნეო საფუძველზე გადასულ წარმოებათა მომარაგება

2 იანვარს ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი სამეურნეო ანგარიშზე გადასულ წარმოებათა მომარაგების შესახებ. მიიღეს შემდეგი დადგენილებანი: 1) მუშათა კოოპერატივი აძლევს პროდუქტებს ბაზრის ფასზე განსაზღვრულ პროცენტით დაკლებულ ფასებში. 2) ხელშეკრულობაში კოოპსა და წარმოებასა ან დაწესებულებებს შორის შეტანილია საურთიერთო გარანტიები, 3) განსხვავება ულუფის ფასსა და სასურსათო კომისარიატისა და მუშათა მთლიან კოოპერატივის მიერ მიცემულ სურსათის ფასს შორის იხდის წარმოება, 4) სამეურნეო ორგანოებს უფლება აქვთ მოამარაგონ მუშები და მოსამსახურეები არა მუშათა მთლიან კოოპერატივის საშუალებით, თუ ამას თვითონ სასარგებლოთ დაინახავენ.

შრომის დაცვის კანონების დარღვევისთვის.

ს. პ. კ. ს. შრომის დაცვის განყოფილების კოლეგიამ 5 იანვარს მოისმინა რაიონის შრომის ინსპექტორის ოქმების მთელი რიგი, შედგენილი მის მიერ შრომის დაცვის კანონების დარღვევის თაობაზე.

ღვინის საწყობის პატრონები 19 თებერვლის ქუჩაზე ყაზაროვი და ჩიტაევი დაჯარიმებულ იქნენ 1 მილიონი მანეთით მცირე წლოვან, 14 წლის კაზანჯიანცის შრომის ექსპლოატაციისთვის, რომელსაც ამუშავებდნენ დღეში 8 საათს.

ასეთივე თანხით დაჯარიმებულ იქმნენ საკონფეტო სახელოსნოს პატრონები ვორონცოვის ქუჩაზე, პარუნბეგოვის ქარვასლაში, მირზა-ოღლი და უსეინ-ოღლი ზეინალ-აბას-ოღლი მცირე წლოვან, 12 წლის მირზა ოღლის შრომის ექსპლოატაციისთვის, რომელსაც ამუშავებდნენ 8 საათს დღეში.

დაჯარიმებულ იქმნენ 500,000 მანეთით თითო საძეხვე დუქნის პატრონი 19 თებერვლის ქუჩაზე ბაბალიანცი, წაღა-მესტების სახელოსნოს პატრონი სარაჯევის ქუჩაზე ალექპეროვი და წაღის სახელოსნოს პატრონი 19 თებერვლის ქუჩაზე გაბრიელიანცი. პირველი 15 წლის პერჩანცის შრომის ექსპლოატაციისთვის, რომელსაც ამუშავებდა 8 საათს დღეში.

მეორე 12 წლის სააკოვის შრომის ექსპლოატაციისთვის, რომელიც ამუშავებდა აგრეთვე 8 საათს დღეში და მესამე 15 წლის მუშის ექსპლოატაციისთვის, რომელსაც ამუშავებდა 9 საათს დღეში.

ს. პ. კ. ს. შრომის დაცვის განყოფილების მოქმედება 1921 წლის ნოემბერსა და დეკემბერში.

1 ნოემბრიდან შრომის დაცვის განყოფილების კოლეგიამ გახსნა კურსები შრომის ინსპექტორების კადრის მოსამზადებლათ, რომლებიც გაგრძელდნენ 15 დეკემბრამდე. 7 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე მოახდინეს გამოცდები. ამ კურსანტებიდან უკეთ მომზადებულნი აარჩიეს და ნაწილი მათგან დანიშნეს ადგილებზე, ხოლო მეორე ნაწილი დაინიშნა კანდიდატებათ შესაფერ თანამდებობაზე.

პრაქტიკული მეცადინეობა იმ პირთათვის, რომლებმაც დაამთავრეს გამოცდები, მოხდა 10 დეკემბრიდან 15-მდე. ტექნიკურ სპეციალისტების და სანიტარულ ინსპექტორების ხელმძღვანელობით კურსანტებმა დაათვალიერეს თბილისში მსხვილი წარმოებანი ყველა დარგისა და გაიცნეს, თუ როგორაა დაყენებული წარმოებებში შრომის დაცვის საკითხი.

89 კურსანტს შორის 17 ქალი იყო. საერთო რიცხვიდან 61 გამოგზავნილი იყო კურსებზე პროფორგანიზაციების, ქალების განყოფილების და ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის მიერ, ხოლო 28 გამოგზავნილი იყო შემდეგი ადგილებიდან: ხაშური, ქუთაისი, თელავი, ახალციხე, სამტრედია, ბორჯომი, ეკატერინენფელდი, სურამი, სიღნაღი, დუშეთი, შორაპანი, ახალსენაკი, ზუგდიდი, ცხინვალი, ტყვიბული, რაჭის მაზრა, ბათომი და სოხუმი.

პარტიული ნიშნით კურსანტებში იყვნენ კომუნისტი 54, კომპარტიის კანდიდატები 2 და უპარტიო 33.

კურსანტებს შორის უმაღლესი სწავლით იყო 2, საშუალო განათლებით 17, საქალაქო სასწავლებელთა ცენზით 6, პირველდაწყებით სკოლების კურს გათავებულნი 17, შინაურ სწავლით 6 და წერა-კითხვის უცოდინარი 2, ამას გარდა 31 კაცს გავლილი ჰქონდა არა სრული კურსი ხსენებულ სასწავლებლისა.

კურსანტებში 41 კაცი ფიზიკურ შრომას მისდევს, ხოლო 47 გონებით შრომას.

15 დეკემბრიდან შრომის დაცვის განყოფილება გადავიდა ჩვეულებრივ ყოველდღიურ სამუშაოზე. ნოემბრის გასვლამდე განყოფილების კოლეგიამ მოახდინა 4 სხდომა კავშირების ყველა მუშაკისა შრომის დაცვის სფეროში და 1 სხდომა შრომის ინსპექტორებისა.

სანიტარულმა ინსპექციამ მოახდინა სამკურნალო შემოწმება მცირე წლოვანთა და მოზრდილთა, რომელნიც ქირით მუშაობენ წარმოებებსა და დაწესებულებებში შემოწმების მიზანი იყო სუსტების გაყვანა სამუშაოდან და გამოკვლევა, თუ რამდენათ მავნებლათ მოქმედებს ესა თუ ის წარმოება მცირე წლოვანებზე.

შემოწმების შედეგათ—სულ შემოწმებულ იყო 471 მცირე წლოვანი—41 იცნეს ჯანმრთელათ, 44 სჭირდება წამლობა და 13 უნდა ხელი აეღებინოთ მუშაობაზე.

შემოწმებულ იქნენ მხოლოდ მცირე წლოვანნი და მოზარდნი, რომელნიც მსახურებენ საბჭოთა დაწესებულებებსა და წარმოებებში. ხოლო კერძო წარმოებების მოსამსახურენი შემოწმებულ იქნებიან დამატებით, სათანადო კავშირებში ჩაწერის შემდეგ.

15 დეკემბრიდან სანიტარულმა ინსპექციამ გამოიკვლია 34 წარმოება, რომელთაგან თბილისს ხვდება 20 წარმოება, დანარჩენი პროვინციას ხვდება.

ტექნიკურმა ინსპექციამ დეკემბრის განმავლობაში შეამოწმა თბილისში 37 წარმოება, ხოლო ქალაქ გარეთ 3.

სპეციალურმა ინჟინერმა, რომელიც თვალს ადევნებს ორთქლის ქვაბებს და რომელიც მუშაობს რესპუბლიკის მასშტაბით, დაათვალიერა და გამოსცადა ორთქლის ქვაბები: გარეგნულათ დაათვალიერა 27, შიგნიდან 3 და გიდრავლიურათ გამოსცადა 4.

15 დეკემბრიდან ამავე თვის გასვლამდე შრომის ინსპექტორებმა გამოიკვლიეს თბილისში 36 წარმოება და დაწესებულება, რაც შეეხება პროვინციას, იქიდან ჯერ ცნობები არაა მიღებული.

15 დეკემბერს აქეთ შრომის დაცვის კანონების დარღვევისთვის შრომის დაცვის განყოფილების დადგენილებით დაჯარიმებულია 11 წარმოების პატრონი 9,500,000 მანეთით. შრომის დაცვის კანონების დარღვევა უმთავრესათ შენიშნული იყო მცირე წლოვანთა და მოზარდთა შრომის ექსპლოატაციის სფეროში.

გარდა ამისა იმავე კოლეგიის დადგენილებით მუშის ცემისათვის დატუსაღებულია 7 დღით ერთი სახელოსნოს გამგე.

* * *

საქარ. საგან. კომისიის დადგენილება

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიამ 1921 წ. 15 დეკემბრის სხდომაზე მოისმინა შემდეგი საქმეები.

1. საქმე ბრალდებულ ბიქტორ მიხეილის ძე მათიევისა, 27 წ. თეთრგვარდიელთა ლაშქარში სამსახურის დაფარვის და საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოების შესახებ.

გამოძიების საბუთებით და თვით ბრალდებულის გამოტეხით დამტკიცებულ იქნა, რომ ბრალდებული მათიევი დიდხანს მსახურობდა დენიკინისა და ვრანგელის ლაშქარში სარდლის თანამდებობაზე, დენიკინის უკან დახევის შემდეგ იგი დანარჩენ აფიცრობასთან ერთად, რომლებიც ბოლომდის მისი ერთგულები დარჩნენ, გაიქცნენ ნოვოროსისკიდან. შემდეგ იგი მსახურობდა ვრანგელთან. ვრანგელის დამარცხებამ და იმ ხანის აფიცრობის განწყობილების გადატეხამ კიდევ ვერ მოიყვანა ჭკუაზე ბრალდებული. და იგი ვრანგელის უკან დახევის დროს გაიქცა მასთან სევასტოპოლიდან, რითაც დაამტკიცა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავის შეურიგებლობა.

მენშევიკების ჯარების და წითელ ნაწილების შორის გაჩაღებულ ომის დროს ბრალდებული მოხალისეთ შედის მენშევიკების ლაშქარში სარდლის თანამდებობაზე.

მსახურებდა რა საბჭოთა ხელისუფლების დროს საპასუხ სმგებლო თანამდებობაზე, თეთრგვარდიელთა ლაშქარში თავის სამსახურის წინასწარ დაფარვით, ბრალდებული მუდამ ამხედრებდა წითელ ლაშქრელებს პოლიტიკურ მუშათა და კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

ზემო აღნიშნულ უდავო საბუთების ძალით საგანგებო კომისიის კოლეგიამ დაადგინა: ბრალდებულ ბიქტორ მიხეილის ძე მათიევს მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა—დაიხვრიტოს. პირად ქონებას უყოს კონფისკაცია:

2 საქმე ერმილე იოსების ძე თოხაძის, გიორგი ალექსანდრეს ძე ბლაგოდატინის ვასილ იოსების ძე თოხაძის, ალექსანდრე რაიფენაძის, ლუბა რაიფენაძის, ანა ანოხინის, ნინა პრასტაევასი, შალვა კადეიშვილისა, და ბიქტორ ნაცვლიშვილისა, რომელთაც ბრალად ედებათ სამსახურში დანაშაულობის ჩადენა.

ერმილე თოხაძის შესახებ გამოძიებამ დაამტკიცა სამსახურში ჩადენილ დანაშაულობის ფაქტი, რომელსაც ჩადიოდა ძლიერ უსინდისოდ და სისტემატიურად სპეკულიაცია.

საავიაციო-დივიზიონის უფროსის თანაშემწედ ყოფნის დროს ბრალდებული სისტემატიურად ამზადებდა საბუთებს არ არსებულ ნივთების შესახებ, ვითომდა მის მიერ ნაყიდი, ამასთანავე ყალბ საბუთებზე აწერდა თავის ცოლის ძმის გვარს კადეიშვილს. ღებულობდა რა დაწესებულებიდგან საჭირო ნივთებს საავიაციო დივიზიონისათვის, იგი ყველა ამათ აძლევდა დივიზიონს, ვითომდა კერძო ბაზარზე ნაყიდი. სრულიად უსირცხვილოდ აბრუნებდა საავიაციო-დივიზიონის ავანსებს, ეწეოდა მით სპეკულიაციას და ვაჭრობდა სახელმწიფო დაწესებულებებთანაც კი. თავის ბოროტებისათვის მან გამოიყენა, როგორც თავის ცოლის ძმა კადეიშვილი, აგრეთვე ძმა ვასილ თოხაძე. უკანასკნელი მსახურებდა რა მე 55 ბრიგ. რაზმში ავია-დივის მიერ ყოველ შესყიდვის დროს გამოდიოდა სცენაზე ყიდდა ავტო-რაზმის ქონებას ავიოდივს თავისივე ძმის საშუალებით. ძმებ თოხაძეების ყოველ ცუდ საქმეებში შუამავლის როლს თამაშობდა იმავე ავიოდივის სამხედ. მფრინავი ბლაგოდატინი. ეს სამეული ფლანგავდა მარჯვნივ და მარცხნივ რესპუბლიკის ქონებას, რითაც დიდ ზარალს აყენებდა სახელმწიფოს.

საგანგებო კომისიის კოლეგია, იღებს რა მხედველობაში ზემო აღნიშნულ დანაშაულობის ფაქტებს, დაშლას, რომელიც გამეფებული იყო ავტონაწილებში, საჭიროა გამოლვიძებულ იქნან საბჭოთა ხელისუფლების ყველა ცხადი და დაფარული მტრები, რომლებიც სცდილობენ მეურნეობის დანგრევის გზით დაახრჩონ იგი, დაადგინა: ბრალდებულ ერმილე ვასილის ძე თოხაძეს მიესაჯოს უმაღლესი ზომა სასჯელისა—დაიხვრიტოს, პირადი ქონება ჩამოერთვას. გიორგი ბლაგოდატინს და ვასილი თოხაძეს მიესაჯოს 2 წლით იძულებითი მუშაობა. დანარჩენი ბრალდებულნი განთავისუფლებულ იქნენ პატიმრობისაგან.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია ამა წლის 4 იანვრის სხდომაზე მოისმინა საქმეები:

1, საქმე ზოდელავა ნიკოლოზ მაქსიმეს ძეს, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჩხიკვაძისა, ამბროსი მიხეილის ძე ბენდელიანისა, გრიგოლ გიორგის ძე ტურაბოვის, აკოფან ხაჩატურის ძე გრიგორიანისა და ივანე ალექსანდრეს ძე ცერაძისა, რომელთაც ბრალად ედებათ ბანდიტიზმში მონაწილეობის მიღება.

გამოძიებით ბრალდებულ ზოდელავასა, ჩხიკვაძესა, ბენდელიანისა და გრიგორიანის შესახებ დამტკიცებულია დანაშაულობის ფაქტი შინაგან საქმეთა კომისარიატის კასის გაძარცვის ცდისა წინასწარ მოფიქრებული გეგმით. თავდასხმა, რომლის გეგმამაც შეიცავდა თვით კასირის მოკვლაც უნდა მომხდარიყო ჩუმად, რისთვისაც თავდამსხმელებმა მოიმარაგეს ხანჯლები. ცდა გაუმტყუნდათ, იმის გამო, რომ ყველა დამნაშავეთ თავს დაეცათ საგანგებო კომისიის თანამშრომლები. დანაშაულობას ინიციატორი იყო პროფესიონალური ბანდიტი, რომელსაც თითქმის არას დროს არ ქონდა გარკვეული მუშაობა ბრალდებული თოხაძე საგანგებო კომისიის კოლეგიამ დაადგინა: იღებს რა მხედველობაში ზარალს, რომელიც მოაქვს საქართველოს ტერიტორიაზე ბანდიტიზმს ნიკოლოზ ვასილის ძე ზოდელავას მიესაჯოს უმაღლესი ზომა სასჯელისა—დაიხვრიტოს, პირადი ქონება ჩამოერთვას. ბრალდებულ ჩხიკვაძეს, ბენდელიანს და გრიგორიანს მიესაჯოს სამ-სამი წლის იძულებით სამუშაო თითოს. ტურაბოვი და ცერაძე ცნობილ იქნან უდანაშაულოთ, საპატიმროდან განთავისუფლებით.

2) საქმე პირალი აზიზ-ზადესი, რომელსაც ბრალად ედება ქრთამის აღება.

ამ საქმეს პირველად იხილავდნენ საგანგებო კომისიის კოლეგიის სხდომაზე 1921 წ. 12 ივლისს.

გამოძიებით დამტკიცებულია, პირალი ზადე, როდესაც იგი იყო სიღნაღის მაზრის პოლიტბიუროს თანამშრომელი, იღებდა სისტემატიურად ქრთამებს, სცდილობდა დატყუებას და პროვოკაციას ეწოდა თავის დანაშაულ განზრახვებისათვის რევოლიუციონურ დაწესებულებათა—საქართველოს საგანგებო კომისიის წინააღმდეგ, რისთვისაც განაცხადა, ვითომ იცოდა 6 წითელ ლაშქრელის მკვლელები და ამ გზით აღიჭურვა საგანგებო კომისიის მანდატით მოიხმარა იგი მთელი რიგი დანაშაულობის ჩასადენად.

ამავე სხდომაზე ბრალდებულს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა, რომელიც ვერ იქნა მოყვანილი სისრულეში, ვინაიდან ბრალდებული გაიქცა. შემდეგ დაპატიმრებული ბრალდებული გამოტყდა ყველა მისდამი წარდგენილ ბრალდებაში, ამისათვის საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიამ დაადგინა: ბრალდებულ პირალ აზიზ-ზადეს მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა—დაიხვრიტოს, პირადი ქონება ჩამოერთვას.

განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში ღამე 1922 წ. 5 იანვარს.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1922 წლის 15 იანვრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. **ხ. ქავთარაძე.**

2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხს. ამხ. **მამია ორახელაშვილი.**

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა, წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერთან—მომხს. ამხ. **ნაზარეტიანი.**

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხს. ამხ. **ტოროშელიძე**

5) საადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი ამხ. **ფილიპე მახარაძე.**

6) კოოპერაცია—მომხს. ამხ. **მიხეილ ოკუჯავა.**

7) სასურსათო პოლიტიკა—მომხს. ამხ. **ერქომაიშვილი.**

8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში მომხსენებელი ამხ. **ბ. ქვირკელია.**

9) ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხს. ამხ. **ორახელაშვილი**

10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხს. ამხ. **დონენკო.**

11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი მომხსენებელი ამხ. **ქავთარაძე.**

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრს და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6 პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **დონენკო.**

სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 6

სამაზრო, სათემო საბჭოების არჩევნები და საქართველოს მშრომელი ქალის ამოცანები

საქართველოს მშრომელი ხალხი ემზადება საბჭოთა არჩევნებისთვის. თითქმის ერთი წლის წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა საშუალებას აძლევს საქართველოს მშრომელ მასებს შეუდგეს თავისი ურყევი ძალაუფლების ადგილებზე შექმნას, თავისი მისწრაფებების და სურვილების განხორციელებლად, რისთვისაც დანიშნულია მუშების და გლეხების ამ- [illegible] მუშების, გლეხების და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები, გამომდინარე თვით მშრომელთა მასების სიღრმიდან, ცხადყოფენ მშრომელთა სრულ და ნამდვილ ხელისუფლებას.

საბჭოების წინ დადგებიან უზარმაზარი ამოცანები, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა მეომარი ხელით, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ თავისი საუკუნეობრივი მტრისთვის თავზარის დაცემა, დანგრევა ყველა სანგრების, არამედ შექმნაც დიადი საქმის, მშრომელთა განთავისუფლებლად და სიცოცხლის გაწირვა თავისა დიდი საბოლოო მიზნებისათვის—კომუნიზმისათვის. მრავალი მსხვერპლის გაღებით, მძიმე დანაკლისით საქართველოს მშრომელთ მიაღწიეს თავიანთ ძალა უფლებას.

მენშევიკები, გაყიდულები დასავლეთ ევროპის კაპიტალზე, სინდისიერათ ემსახურებოდნენ თავის ბატონს—საერთაშორისო ბურჟუაზიას. საქართველოს მშრომელთ არ დაავიწყებიათ ამ ავანტიურისტების ჯგუფის ბატონობის სისხლიანი დღეები, რომლებიც თავიანთ შავ საქმეებს სოციალიზმის და დემოკრატიზმის სიტყვებს აფარებდნენ. ეს ბურჟუაზიის ერთგული ლაქიები იღებდნენ თავიანთ წიაღში საერთაშორისო კაპიტალის წარმომადგენლებს. ესენი ფართოდ უღებდნენ თავიანთ კარებს ინგლისელებს, გერმანელებს, ფრანგებს და იტალიელებს, უშვებდნენ ნეიტრალურ საქართველოზე ამ საერთაშორისო მყვლეფელთა ჯარებს და, იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთის მუშები და გლეხები ცდილობდნენ საქართველოს მშრომელებთან ეპოვნათ დროებითი თავშესაფარი, მენშევიკების გენერლების ხელით ეძლეოდნენ თეთრგვარდიელთა ბანდებს დასაფლეთად და გასანადგურებლად.

მათ მორწყეს სისხლით მთელი საქართველო, მოფინეს გლეხთა გვამებით, რომლებიც აჯანყდნენ და იბრძოდნენ თავიანთი ძალა-უფლების და საბჭოებისათვის. მსხვერპლნი დუშეთის, ცხინვალის, ლეჩხუმის, გურიის გლეხების, მსხვერპლნი ალექსანდრეს ბაღში დახვრეტილ მუშების, მსხვერპლნი საპყრობილეებში ტანჯულთა, ასობით მებრძოლთა მსხვერპლნი ძმათა სისხლის მღვრელ ომში—საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელთა შორის, რომელთაც ახოცავდა ერთი მეორეს მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკელების ხელისუფლება.

ყველა ამის დავიწყება არ შეუძლიათ საქართველოს მშრომელთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ამ საზიზღარ საქმეებს ისტორია ვერასოდეს ვერ წაშლის მენშევიკების უსირცხვილო სახეზე. და აი, დადგა მომენტი, როდესაც საქართველოს მშრომელთა სურვილები უნდა განსახიერდნენ. მთელ, განთავისუფლებულ საქართველოში უნდა აღსდგენ წითელი საბჭოები ძალა-უფლება უნდა აიღონ ხელში მშრომელმა მუშებმა და გლეხებმა.

როგორი ამოცანები დგებიან საბჭოების წინ? მოწესრიგება ადგილებზე მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, მოწესრიგება დარღვეულ სახალხო მეურნეობის, ცხოვრების ახალი ფორმების შექმნა, საწარმოო შრომის აღდგენა; ახალგაზრდა, მოზარდი თაობის ახალ, თავისუფალ საზოგადოებრივ უწყებებზე აღზრდა და სხ. და ეს მაშინ, როდესაც მათივე გენერლები საბჭოთა ძალა-უფლების მუშებს და გლეხებს საქართველოს მშრომელებთან შემოფარულებს დასაფლეთად აძლევდნენ მტრებს.

აი, ის მორიგი ამოცანები, რომლებიც უნდა გადასჭრან მშრომელებმა თავიანთი საბჭოების საშუალებით.

როგორი-ღა მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ამაში მშრომელმა ქალმა?

განა შესაძლებელია მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე ცხოვრების მოწყობა?..

არა. არასოდეს. და ეს უნდა ახსოვდეთ მშრომელ ქალებს.

ქალი—დედა, ცოლი, დიასახლისი და ცხოვრების აღმშენებელი, გვევლინება მთელი კაცობრიობის მეორე ნახევრად და მის დაუხმარებლად არაა სრული თავისუფლება, უიმისოთ არც შეიძლება მოეწყოს შრომის სამეფო.

ძველი ცხოვრების წყეულ პირობებს, შავი მეფობის ძალადობას მაგარ კლანჭებში ეჭირა იგი. მენშევიკური ხელისუფლება განაგრძობდა ასევე ძველის წესებით მის ჩაგვრას და უთანასწორობას, მხოლოდ განთავისუფლებულ იქმნა, საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების აღდგენით. კომუნისტურმა პარტიამ, დაუღალავი ბრძოლის მწარმოებელმა მთელ ქვეყანაში მშრომელთა კაცობრიობის სრულიად განთავისუფლებლად, სერიოზული ყურადღება მიაქცია ქალის საუკუნოებრივ მონობას და ჩაგვრას.

ყრილობები, კონფერენციები, თათბირები, ქალთა განყოფილების მუშაობა, ყველა ეს გააკეთა კომუნისტურმა პარტიამ, იმ მიზნით, რომ საჩქაროდ მიეზიდა მშრომელი ქალები ახალი ცხოვრების აშენებისა და მომზადებისა ბრწყინვალე მომავლისათვის.

და აი დგებიან—რა საბჭოთა არჩევნები, მშრომელ ქალებს უნდა ახსოვდეთ ეს და ყველაფერ ამას უწევდნენ ანგარიშს.

ადგილებზე მიღებული უნდა იქმნეს ყველა ზომები, რომ მშრომელმა ქალებმა არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა; ქალმა არა თუ მხოლოდ უნდა აირჩიოს, არამედ უნდა იქმნეს არჩეული საბჭოში. მან უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა თავისი შრომის ძალა-უფლების შექმნაში და იმ ამოცანების გატარებაში, რითაც საქართველოს უნდა მოუმზადონ ბრწყინვალე მომავალი.

საქართველოს მშრომელ ქალს უნდა ახსოვდეს, ვინ არიან მისი ჭეშმარიტი მეგობრები, მისთვის თავიანთი ძალ ღონის დაუზოგველნი, თავისუფლების ფართე გზაზე გამოსაყვანათ. მან უნდა იცოდეს, რომ ეს არის მხოლოდ კომუნისტური პარტია და მავა—რა საარჩევნოდ, მან იქ უნდა გამოაჩინოს ამ მხრივ მთელი თავისი შეგნება.

არც ერთი ხმა მშრომელთა მტრებს! ყველა ხმები კომუნისტურ პარტიას! ყველა ხმები მუშებსა და გლეხებს!

გაუმარჯოს სამაზრო, სათემო საბჭოებს მუშების, გლეხების და წითელ-არმიელთა დეპუტატებისას და მათ რიგებში ამორჩეულ დეპუტატ ქალებს—მუშებს და გლეხებს!

გზა მშრომელ ქალს!

ს. დალნაია.

* * *

ქალაქ თბილისის მუშა-ქალთა მეორე საქალაქო კონფერენცია

11 იანვარს გაიხსნა ქალთა მეორე საქალაქო კონფერენცია, მოწვეული კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების მიერ. ქალაქ თბილისის მუშა-ქალები კვლავ შეიკრიბნენ ხანგრძლივი დროგამოშვების შემდეგ რათა ისევ გადახედონ თავიანთ რიგებს, აღრიცხონ თავიანთი ძალები და გაითვალისწინონ, თუ რამდენად გაიზარდა მუშა ქალის შეგნება ამ ხანის განმავლობაში, რამდენად წაიწია მან წინ თავის პოლიტიკურ აღზრდაში.

რევოლუციის 4 წელმა ბევრი რამ ასწავლეს მუშა ქალს რუსეთში.

წითელი მუშა ქალი, რომელიც გულმკერდით იცავდა პეტროგრადს მუშებთან ერთად იუდენიჩის ბანდებისაგან. მუშა ქალი სამოქალაქო ომის ბრძოლის ფრონტზე მთელ რუსეთში, მუშა ქალი ეკონომიურ ფრონტზე, ნგრევასთან ბრძოლაში, ტრანსპორტის აღდგენაში და სხვა: მუშა ქალი—საბჭოთა ცხოვრების აღმშენებლობაში—აი რა შექმნა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ თავის მძლავრ მსვლელობაში, რომელმაც განთავისუფლა დამონებული ქალი უუფლებობის ძველი ჯაჭვებიდან და დააყენა მუშა-ქალთა მასები დიადი ბრძოლის გზაზე, მშრომელთა საბოლოო მიზნისათვის, კომუნიზმისათვის.

4 წლიწადი სიბნელე, ძალადობა და უუფლებობა,—აი რა მისცა მენშევიკურმა ხელისუფლებამ მუშა ქალს საქართველოში.

რევოლუციამ მრისხანედ გადიარა დამონებულ კაპიტალისტების თავზე რუსეთში, მან შეაგნებინა მუშა ქალს თავისი ინტერესები, მიზნები და ამოცანები, ასწავლა გამოეცნო, თუ ვინ არიან მისი ჭეშმარიტი მეგობრები, ასწავლა მედგარი, შეუპოვარი ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის.

ეს რევოლუცია ჩახშობილი იყო საქართველოში კაპიტალისტების მსახურების, მენშევიკების მიერ.

საქართველოს მუშა ქალი ჩამორჩა თავის დებს რუსეთსა, აზერბეიჯანსა და სხვაგან. მაგრამ თითქმის ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენი რიგები იმართება.

ჩვენ ვხედავთ მას სადელეგატო კრებებზე, მოხსენებებზე, მიტინგებზე, საერთო კრებებზე, ზეიმებზე. ჩვენ ვხედავთ მას რევკომის განყოფილებებში და ბოლოს, რაც მთავარია, მის წარმომადგენლებს ვხედავთ თბილისის საბჭოში.

17 მუშა ქალი—საბჭოს წევრი. აი მოწინავე რაზმი თბილისის წითელ მუშა-ქალებისა, რომლებმაც პირველად აირჩიეს თავისი ამხანაგები საბჭოთა ხელისუფლებაში მონაწილეობისათვის, ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში მონაწილეობისათვის.

ქალ. თბილისის მუშა ქალი წელში იმართება. მართალია, ჯერ ძლიან ცოტაა გაკეთებული, მართალია სასტიკი ცხოვრება მას ახალ უბედურებას უმზადებს, შტატების შემცირებას და ზოგიერთი წარმოებათა დახურვის სახით. ამ შემცირებაში უმთავრესად მოხვდნენ ქალები, როგორც პროლეტარიატის უფრო ნაკლებ კვალიფიციური ნაწილი.

მაგრამ მუშა ქალმა კარგად უნდა იცოდეს, რომ რევოლუცია ზოგჯერ მოითხოვს არა მარტო სწრაფ სვლას წინ, არამედ ხანდახან დროებითი სულმოთქმასაც და უფრო სწორი გზების ძიებას.

ჩვენ ზოგჯერ უკან ვიხევთ, რათა მოვიკრიფოთ ძალზე და დავიწყოთ შეტევა მსოფლიო რევოლუციის მთელ საომარ ფრონტზე.

არა დაღონებამ, არა შიშმა მომავლისათვის უნდა მოიცვას მუშა ქალი არამედ ბრძოლის მტკიცე შეგნებამ, მტკიცე და შეუპოვარი ბრძოლის, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაანგრევს კაპიტალისტური მსოფლიოს ნახევრად დანგრეულ შენობას.

უნდა გავამაგროთ ჩვენი პოზიციები და გვახსოვდეს, რომ სანამ არსებობს მშრომელთა ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება, ჩვენთვის საშიში არ არის მტრების არავითარი ლაშქარი.

საბჭოების წითელ, მებრძოლი ხელების ქვეშ მშრომელნი მტკიცედ და თამამად შეხვდებიან ყველა განსაცდელს, იმისათვის, რომ გაიმარჯვონ საბოლოოდ.

კომპარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული მუშა ქალთა განყოფილება მხურვალედ სალამს აძლევს მეორე საერთო საქალაქო კონფერენციის დელეგატ ქალებს და ეუბნება მათ „ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო დებო! მეორე კონფერენციამ უფრო მტკიცედ უნდა შეამჭიდროვოს ჩვენი რიგები, უფრო მეტი ენერგია უნდა შთაბეროს ჩვენს გულში.

ჩვენთვის არაფერია საშიში სანამ შეკავშირებულნი ვართ. ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია. ჩვენი მომავალი ჩვენს მუშაობაზეა დამოკიდებული.

წინ მომავლისაკენ. გადავლახოთ ყველა დაბრკოლება, ყველა განსაცდელი.

მუშა ქალთა განყოფილებებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ჩვენ დავსძლევთ ყველა სიძნელეს თავის გზაზე, მოვიცილებთ ძველი კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრების ყველა წყეულ ნაშთებს, მონობას, სიბნელეს, უუფლებობას და გავერთიანდებით ერთ მძლავრ მდინარედ მთელი ქვეყნიერების მუშების და მუშა ქალების რევოლუციონურ მასებთან, რათა წავლეკოთ კაპიტალიზმის ძველი, დამპალი შენობა და ავაშენოთ კომუნისტური სუფევის ახალი ქვეყანა.

კიდევ სალამი ძვირფას ამხანაგ დელეგატ ქალებს. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გაერთიანებას.

გაუმარჯოს ქალაქ თბილისის მუშა ქალებს, კომუნიზმისათვის რევოლუციურ მებრძოლებს.

კომპარტიის ც. კ. და თბ. კ. ქალთა შორის მუშაობის განყოფილება.

* * *

წერილი მუშა-ქალებისადმი

რამდენი ჭირიკანა დედაკაცებისაგან, რამდენი უსაქმოდ მოხეტიალე ვაჟბატონებისაგან არ გაიგონებთ ქალების დამამცირებელ სიტყვებს: „თქვენი დედაკაცები ლაყბობის მეტს არაფერს აკეთებენ", „ლაპარაკობენ შვილს, რითაც უნდათ თავი მოაჩვენონ, ვითომ ცოდნით გატენილი არიან" და სხვა რომელიც არა მარტო ამ სიტყვების გამგონს, არამედ თქვენც, ჩემო საყვარელო დებო, ჩირქს გცხებს და მუშაობის ხალისს გკარგავს. რა უნდა უპასუხო ასეთი სიტყვების წამომროშველს? რაც უნდა უთხრა მას ისინი მაინც ერთს იტყვიან: თქვენ კი არა, თქვენი ამხანაგები", რასაც იმ ჩვენს ამხანაგებთან იმავეს გაიმეორებენ, მეუქვა: „ეს სიმართლის მოკლებულია". არ შეიძლო, ვინაიდან ისინი ცოტათ თუ ბევრად მართალს ამბობენ.

მაგრამ იბადება კითხვა: სად უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტება, რა ხერხი უნდა ვიხმაროთ, რომ ქალმა ნაკლები ილაყბოს, და მართალიც და მოლაყბე ქუჩის ვაჟბატონებს ნაკლები სალაპარაკო და საპროვოკაციო მასალა მისცეს?

მიზეზი ქალთა ორგანიზაციის სისუსტის არის უმთავრესად ის რომ პასუხისმგებელ მომუშავე ამხანაგებს ვერ აქვს მჭიდრო კავშირი.

ქალის ფართო უპარტიო მასსა არ არის გაცნობილი იმ დიად მოვლენებზე, რომელსაც სახელმწიფოში ადგილი აქვს.

საყვარელო დებო! განა ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი უნდა ვუცადოთ იმას რას მოგვაწოდებენ ჩვენი ამხანაგები. განა ჩვენში არ იბადება საღი მჩქეფარე ენერგია, რომლის ამოძრავებით შეიძლება დიდი საქმის გაკეთება? განა ჩვენ ჩვენი საღი ძალა არ უნდა გადავაჯაჭვოთ ჩვენი უფროსი ამხანაგების გამოცდილებასთან და ხელი-ხელ ჩაკიდებული ჩვენივე გულმოდგინებით არ უნდა გავიკაფოთ ის გზა, რომელიც დაუსახა კომუნიზმმა ქალთა შრომას? დიახ! მხოლოდ მჭიდრო კავშირს შეუძლია შექმნას ქალთა ისეთი ძლიერი ორგანიზაციები რომელიც სასიცოცხლო ნაკადულივით იჩქეფებს მთელ ქვეყანაზე. მაშ მედგრად წინ ამხანაგებო! ზიზღი მათ, ვინც ჩვენ ზევიდან ქვევით გვიყურებს როგორც ფემინისტ ფილანტროპები, და მხოლოდ თანაგრძნობა მათ ვინც ჩვენ კეთილს საქმეს წინ შეეგებება. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდებული სოკრატეს სიტყვები. „მე ვიცი ის რომ მე არაფერი არ ვიცი". და შრომის მოყვარეობა, საღი კრიტიკა და ლტოლვილება სწავლისადმი. მეცნიერებისადმი მოგვიყვანს ჭეშმარიტ შრომის სამეფოს. დღეს კი ჩვენს დროშაზე დევიზათ უნდა გამოვქარგოთ „შრომაში სწავლა, და სწავლაში შრომა".

ნ. ბ.

* * *

ქალი

კაცობრიობის გაჩენიდანვე გაჩნდა ქვეყნად მჩაგვრელი და ჩაგრული, რომელიც მეტ ზიანს ქალს აყენებდა როგორც უფრო სუსტს და უწყინარ არსებას. ქალი როგორც სქესობრივათ განსხვავებული, უფრო დამონებული იყო ის და თავის მდგომარეობით სრულებით ეთანხმებოდა იმ მეორე უფლებასაც კი, რომლითაც იყო ის დაჯილდოვებული. ძალმომრეობით დამონებული თვით ეკლესიამაც დაიმონა და უბრძანა მას მორჩილება და მოთმინება. ეკლესიის წინაშე ქედმოხრილი ქალი, ემონებოდა ტრადიციებს და უხმოთ ითმენდა ყველაფერს რასაც ჯილდოდ აყენებდნენ მას.. სიტყვა „ქალი" სამარცხვინოთ გადაიქცა, რადგან ის იყო არარაობის გამომხატველი მასა კაცი რომელსაც არ შეეძლო უქალოთ ცხოვრება სიტყვით და საქმით შეურაცყოფას აყენებდა მას. შრომის ფრონტზე მებრძოლი ქალი, ითვლებოდა სხვის ბარგათ. ქალი ვალდებული იყო რომ ქედ მოხრით და მორჩილებით ეზიდა გოლგოთაზე წამების ჯვარი. მას მოსცხა უნდა ეცქირა ჩადრს ქვეშ. და ყოველი გრძნობა რაც უნდა კეთილშობილური ყოფილიყო ის გულში უნდა ჩაეკლა, რადგან კანონის ძალით, ქალი უნდა ყოფილიყო მორჩილი და მომთმენი. ოჯახში უნდა ეთმინა ყოველივე თუ უნდოდა მას ქონებოდა „პატიოსანი" ქალის სახელი. დააფასებდნენ მას მხოლოდ მისი „სათნოებით" სხვა მოვლენებისთვის თითქოს არ იყო ის გაჩენილი. ქალი მშობელი და აღმზრდელი ითვლებოდა სხვის ბარგად. ქალი დაწყევლილი და შეჩვენებული იყო რადგან ის მაცდურობის გამომხატველათ მიაჩნდათ.. ქალისთვის აკრძალული იყო სიყვარული იმ დროს როდესაც მამაკაცს სრული უფლება ჰქონდა ამის.

ასე და ამგვარად ქალი შეჩვია მონობას და სულგრძელობით ითმენდა ყოველივე რასაც უყენებდნენ მას.. იმ იმედით, რომ სიკვდილი გაიხარებდა, სამოთხეში ეგნე ბოლო ელოდა მას.. მაგრამ დროთა ბრუნვამ რომელმაც ქალი ქარის მოუძღვის გლეჯა და ბაზარზე გამოისროლა. სადაც მას უნდა მოეპოვებინა პური არსობისა, ქალი ფაბრიკა ქარხნებში მოათავსა და ჩააბა მამაკაცებთან ერთად მუშაობაში, სადაც მან ცხოვრებას თვალი გაუსწორა და პირველად იგრძნო მან მისი არარაობა, რომლისთვისაც სამწუხაროდ შეეცხვა მას. იდუმალმა ხმამ გამოაფხიზლა ის რომელმაც მიუთითა მას თავის არარაობაზე და უთხრა: „ქალო შენ ხარ კაცობრიობის ნაშიერი, უშენოთ არ შეიძლება იარსებოს მან, შენ ხარ მშრომელთან ერთად მშრომელი და აღმზრდელი და ამიტომ იცნი შენი თავი".

ქალი ამ ხმებმა შეაკრთო, გული გაუძგერა, ბაგე გაეხსნა და ღიმილის ელვარებით ღიმილი აწვა მის სახეზე, მაგრამ ეს ხმა მაცდურებით მიიჩნია და სიხარული მწუხარებათ შეეცვალა. თავი კვლავ ჩახარა და ჩვეულებრივათ გაჰყვა ისევ მონობის უღელს ქვეშ, რადგან ეს ხმა ეშმაკის მაცდურობათ მიიჩნია მან. ქედ დახრილი ქალი მუშაობდა სახლში, კარში, ფაბრიკა ქარხნებში და უფრო მოუსვენარი გახდა იმ იდუმალი ხმით რომელიც პირველათ გაიგონა მან. ასე და ამგვარათ ეწეოდა ის დაუსრულებელ შრომას და თითქმის სრულებით ივიწყებდა თავის თავზედ ფიქრს, მაგრამ ამ მხილებელმა ხმამ კვლავ გამოაფხიზლა ის და მიუთითა მას თავის მოვალეობაზე.

ქალი კვლავ შეკრთა და უფრო მშვიდი ეჩვენა ეს სიტყვები. მან შეკრთა და თავი გაიქნია რომ თავიდან მოეშორებინა ეს მაცდური ფიქრები, რომლის შესრულება შეუძლებლად მიაჩნდა. ამ თავის გაქნევამ ბურუსით მოცული გონება გაუნათლა და გული გაუმაგრა, სადაც იგრძნო მან სუსტი თავის თავის დაფასებისა. ფაბრიკიდან გარეთ გამოვარდა რამაც გამოხატა მან პირველი წინააღმდეგობა. ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი, რომლითაც ის შეიჩვია უფროსისადმი წინააღმდეგობას და კადნიერობას.

წინააღმდეგობისთვის სჯიდნენ, ციხე ციმბირებში გზავნიდნენ მას.. საჯდომ გათანასწორებულია ის მამაკაცებთან ერთად... სახრჩობელაზე აჰყავდათ ის... აი შენი თავისუფლება!.. მსხვერპლმა ნაყოფი გამოიღო.. დაღვრილმა სისხლმა ნიადაგი გაანაყოფიერა და ქალთა საზოგადოება ბრძოლის ველზე გამოვიდა რომ დაეცვა მათი ინტერესები.. კვლავ ციხეები.. კვლავ ციმბირები.. გაიმართა ბრძოლა.., ისმის ხმები: მონავ საზოგადოების დაუბრუნდი.. კერას და წინწილის ყურადღება მიაქციე... ბავშვს იხედე.. ქმარს ემონე.. სახლში იჯექი.. იყავ მონა და მორჩილი...

ქალი ბრძოლის ველზეა... სასტიკ ომს უცხადებს მჩაგვრელთა სამეფოს. ის ურთიდება ბრძოლაში მუშა მშრომელ მამაკაცებს და უფრო მედგრათ იბრძვის რადგან უფრო მეტად დაჩაგრული იყო მონა მამაკაცზე... ხელჩართულ ბრძოლაში ის ღებულობს მონაწილეობას.. ვინტოვკით ხელში ის უკვე სადარაჯოზეა... ქალი წინ მიდის..

ქალმა დაამსხვრია მონობის ბორკილები... ის თავისუფალია... ის ტრიბუნაზე არბის.. უკვე წითელი თავსაფრით წმუკრავს თავს... ის მოხიბლავია. ის ამაყი და ამპარტავანია... მას [illegible] სახე. მას [illegible] აღარ უფარავს ხელოვნურათ დახვეული თმები... მას ფართო მხრებზე ბრძოლის სტვირთი აქვს.. დაკუნთილ ხელში წითელი დროშა უპყრია... მას მიზნათ გამარჯვება დაუსახავს... პასივი აღარ არის... ის მებრძოლი ქალია.. ის ამპარტავნათ გამოეყურება შრომის სამეფოზან... ის უკვე კანონმდებელია... ის სწორ უფლებიანია. ის შეუპოვარი მებრძოლია... სახელმწიფოს სწორ უფლებიანი წევრია... თავგამოდებით შრომობს,—აღმშენებლობაში მონაწილეობას ღებულობს, რადგან დარწმუნებულია რომ ის თავის საქმეს აკეთებს... ის დროშას უკვე აფრიალებს, რომელზედაც სწორ უფლებიანობა და თავისუფლება დაწერია... ის უკვე თავისუფალი ქალია.

ლოლა

* * *

წითელ ვარსკვლავს

მივესალმები ვარსკვლავს წითელს,
ულოცავ ზეიმს მეხუთე წლისას
და ვუსურვებ მას იყოს მძლეველი
და შავი მტრის წინ ცეცხლის მფრქვეველი.

—

რა მოევლინოს იგი ყველასა,
ბოლო მოეღოს ბნელ ქვეყანასა:
სიმართლის მცნება, მისთვის არს ვნება
წითლის დანახვით შიშითა დნება.

—

როს უბედობით არ ვძრავდით ენას,
მტერთა ჯალათი გვეტყოდა „ნანას",
ჩვენს გულსა ღრღნიდა მწარე ფიქრები,
თვალთა გვდიოდა ნაკადულები.

—

ვიყავით ყველა განაწამები
არას გვშველოდა მარტო ფიქრები,
რადგან ვიყავით განცალკევებით
ერთმანეთისგან მთლად დაშორებით.

—

ამით ვიყავით ჩვენცა უძლურნი,
ვერ მივაწვდინეთ სიმართლის ხმანი,
რომ შეერთებულ ჩვენის ძალებით
აგვევსოს მტრისა გული მდუღარით.

—

რათა იგემა მასაც მონობა
არ გაეწია შემდეგ ურჩობა
ეგრძნო მას ძალა მუშის მკლავისა,
ბოლო მოღება თავის ძალისა.

—

დავცვრიოდა მაშინ მნათობი მკრთალი
არ ჰქონდა მასა სიცოცხლის ალი
მეტი სინაზით თითქმის ჰქრებოდა
იყო უძლური—მოგვშველებოდა.

—

მაგრამ გამოჩნდა ვარსკვლავ წითელი
ნიშანი დიდი!.. მჩაგვრელთ გამთელი!
იგი ვარსკვლავი შეუდრეკელი,
არის ვითა კლდე თავისუფალი;

—

იგი წინ უძღვის ჩვენსა რაინდსა
უმღერის მტრის კრგსა ამინდსა:
„მშრომელნო, ყველა ქვეყნის შეერთდით,
ძველი ქვეყანა ძირსა დაეცით!

—

შემოიარეთ მთელი ერობა
დააგვირგვინეთ საბჭოს მთავრობა
მხოლოთ იგი არს მონათ მფარველი
წითელ ვარსკვლავთა სხივთა მფრქვეველი.

ერიკო.

25 ღვინობისთვე 1921 წ.

მოკლე წერილი მუშა-ქალებთან

ამხანაგებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქალი წარმოადგენს დედას კაცობრიობისას. თუ კაცობრიობის დედა უგონოა, არის მონობაში, მაშინ კაცობრიობა ვერ განვითარდება. ქალი არის მთელი კაცობრიობის მასწავლებელი და საძირკვლის ჩამყრელი გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდისა.

თუ ქალს არა აქვს გონებრივი განვითარება, რა უნდა ასწავლოს შვილს, რა უნდა ასწავლოს მომავალს, იგი ხომ დედაა მათი.

აქამდის ჩვენ ვიყავით მეფის და კაპიტალისტების ხელში, ისინი არამც თუ მისცემდნენ ხალხს თავისუფლებას, არამედ სულს უღაფავდნენ, ცდილობდნენ ყოველი ღონე ეხმარათ, რომ ხალხი არ განვითარებულიყო იქამდის, რომ მას შეეგნო თავისი უფლებები. ასე იქცეოდნენ იმისთვის, რომ თვითონ სცხოვრობდნენ ბედნიერად და არ ეთმობოდათ ეს ფუფუნება.

ეხლა, როდესაც დამკვიდრდა ჩვენი მშრომელთა საბჭოს მთავრობა და განაცხადა მან საჯაროთ, რომ სახელმწიფოში პირველობა უნდა ეკუთვნოს მშრომელთ და მისცა მათ მთლიანი თავისუფლება, როგორც მამა-კაცთ, აგრეთვე დედა-კაცთ, სწორეთ ეხლა არის დრო რომ ქალმა გამოიჩინოს თავისი ენერგია და შეიტანოს წვლილი ამ საერთო მოძრაობაში.

თქვენ იცოდეთ, რომ უდედაკაცოთ არავითარ გზით არ შეიძლება ახალ ცხოვრების აშენება, რადგან, როგორც ვსთქვით დედა-კაცი არის დედა და მასწავლებელი მომავლის.

ამიტომ საჭირო არის შემოკრბეთ ერთ დროშის ქვეშ და ისწრაფეთ განათლებისაკენ.

ერიკო.

* * *

ქრონიკა

◆ **თბილისის მაზრაში.** ქალთა შორის მუშაობა თბილისის მაზრაში საკმაოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. იმართება რეგულიარულად უპარტიო ქალთა კრებები. ქალთა განყოფილების ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში, თითქმის ყველა რაიონში და ყოველივე პატარა სოფელში, ქალთა განყოფილების მიერ იყო მოწვეული საერთო ქალთა კრებები. ქალთა განყოფილება მუშაობს მაზრის სახალხო განათლებასთან კონტაქტში. როგორც მაგალითად საბავშვო სახლია გახსნა და სხ. თბილისის მაზრაში უკვე არის გახსნილი ცენტრალური ბავშვთა სახლი (საგარეჯოში) სადაც ყველა რაიონებიდან აგზავნიან უდედმამო ბავშვებს. ქალთა განყოფილების მიერ არის გაგზავნილი ცირკულიარები ყველა რაიონებში სახალხო განათლებასთან კონტაქტიურ მუშაობის შესახებ ქალთა განყოფილებამ მიიღო აქტიური მონაწილეობა ოქტომბრის რევოლუციის ჩასატარებლად. ამ დღეს ულარიბეს ბავშვებს დაურიგდათ საჩუქრები როგორც მანუფაქტურა, ისევე საუზმე და სხ. სულ თბ. მაზრაში იყო დარიგებული 200 არშინი მანუფაქტურა (საჩუქრები დაურიგდათ შემდეგ რაიონებში: ავჭალა, მარტყოფი, სართიჭალა, საგარეჯო, კოჯორი, მანგლისი, აზურეთი). აგრეთვე იყო გამართული მიტინგები, სადაც გლეხ ქალთა შორის იყო ახსნილ განმარტებული მნიშვნელობა ამ დღესასწაულისა. როგორც მოზრდილნი, აგრეთვე ბავშვები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ დღესასწაულს.

ამჟამად ქალთა განყოფილება მუშაობს მაზ. საბჭოთა საარჩევნო კომპანიასთან ერთად თემის და მაზრის მუშათა და გლეხთა საარჩევნო კომპანიების ჩასატარებლად. არჩევნები უკვე დაიწყო ამ თვის 8-ში, კოჯორში და ავჭალაში არჩევნები უკვე დამთავრდა ბრწყინვალე შედეგით. ამორჩეული დეპუტატთა რიცხვი კომუნისტებია, მათ შორის ოთხი გლეხი კომუნისტურ პარტიის წევრები, სხვა რაიონებში ჯერჯერობით მიმდინარეობს წინასწარი მუშაობა.

◆ **ახალციხის მაზრა.** ნოემბერში არის ჩატარებული სამი უპარტიო ქალთა კრება პროფკავშირის წევრთა შორის, და ერთი მიტინგი სამკერვალო ქარხანაში.

◆ **ბორჩალოს მაზრა.** ც. კომიტ. ქალთა განყოფილებიდან კომანდიროვკაში გაგზავნილი ორგანიზატორმა მუსულმანმა ქალმა მთლად ააღფრთოვანა და შეარყია ბორჩალოს მაზრის მუსულმანი ქალები. მთელ მაზრაში იქნა ჩატარებული უპარტიო ქალთა კრებები და მიტინგები სადაც ესწრებოდნენ აუარებელი ქალები. ყველგან ერთხმად გამოჰქონდათ მისასალმებელი რეზოლიუციები საბჭოთა მთავრობისადმი რომელიც არი ქალთა გამანთავისუფლებელი. არნახული აღფრთოვანება არის მუსულმან ქალთა შორის. მეტ წილ რაიონებში ქალები თვით იკრიბებიან და ირჩევენ ქალთა შორის სამუშაოდ სახელმძღვანელო კოლეგიას. არჩეულნი არიან ზემო და ქვემო კარპლოში ორი ქალი და ერთი კაცი, სოფელ კრუპლოში ორი ქალი ერთი კაცი ლამბაშინში ორი ქალი ერთი კაცი და სხვა.

ქალები თხოულობენ სკოლებს ბავშვებისთვის. ადგენენ სიას იმ ბავშვთა, რომელნიც არიან უსკოლოდ დატოვებულნი და ამასთანავე თხოულობენ რომ მოზრდილთათვის იქნეს გამართული მეცადინეობა წერა კითხვისა.

ტირაჟი 10 000